# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 აპრილი 2007 №87 (3010) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიგრიგორიანული კომპანიის კამპანია

## იტალია კიდევ ჰო და, მუნჯებიც ალაპარაკდნენ, ვინც ხმა ვერ მიიღო, იმანაც ხმა ამოიღო:

# სურკისმა ფული დაატრიალა



უკრაინული ფეხბურთის ატამანს ცოდვები აჰკიდეს, იმანაც დაიკიდა.

იტალიამ და ხორვატია-უნგრეთმა ევრო 2012-ის თანამასპინძლად არჩეულ უკრაინას ბრალი დასდეს — აქაოდა, გრიგორი სურკისმა და მისმა გუნდმა ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ბინძური თამაშით მოიგესო.

რამდენიმე ევროპული სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობებით, წაგებული ქვეყნები უკრაინელებს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებენ.

უკრაინასთან ერთად ევრო 2012-ს პოლონეთიც უმასპინძლებს, თუმცა იტალიამ და უნგრეთ-ხორვატიამ მხოლოდ სურკისი ამოიღეს მიზანში.

„სასაცილოა! ამდენი სისულელის ლაპარაკს სჯობდა, უკეთესად მომზადებულიყვნენ და მოგების შანსი მათაც ექნებოდათ. ამ თემაზე კომენტარის გაკეთებაც კი უაზრობად მიმაჩნია“ — მოკლედ მოჭრა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

გავიხსენოთ, რომ გუშინწინ გამართულ უეფას აღმასკომის სხდომაზე უკრაინა-პოლონეთმა 12:8 აჯობა იტალიას, უნგრეთი-ხორვატია კი სულაც უხმოდ დარჩა...




# ბონჯორნო ბობოსგან

## ვიერი ინტერს და ტელეკომს ყურებს და 21 მილიონს აჭრის

იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი მილანის „ინტერს“ და „ტელეკომ იტალიას“ უჩივის და 21 მილიონ ევროს ითხოვს.

ვიერის ბრალდებით, „ტელეკომ იტალია“ 1999-2005 წლებში, ანუ მაშინ, როცა „ბობო“ „ინტერში“ თამაშობდა, მის სატელეფონო საუბრებს უსმენდა.

„ვიერი „ინტერს“ 9 მილიონ ევროს სთხოვს, ხოლო „ტელეკომ იტალიას“ 12 მილიონს — განაცხადა ფეხბურთელის იურისტმა დანილო ბონჯორნომ — სასამართლო მალე გაიმართება“.

შეგახსენებთ, რომ ეს საქმეც იმდროინდელია, კალჩოპოლის სკანდალი რომ მოჰყვა. ამ სკანდალს კლუბების დასჯის გარდა გუშინ მსაჯებიც შეეწირნენ — პაოლო ბერტინი, სტეფანო კასარა, ანტონიო დატილო, მარკო გაბრიელე, ჯანლუკა პაპარესტა, ტიციანო პიერი, სალვატორე რაკალბუტო, მარჩელო ამბროზინო და ღუჩიო ბელიონი ფეხბურთიდან მოკვეთეს.

# ო, ღმერთო ჩვენო...

## არგენტინას გული ეწურება: მარადონას ფსიქიატრიალებული ცხოვრება კოშმარად იქცა

საცოდავი მარადონა... დიდი დიეგოს პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ გუშინ დაადასტურა ცნობა, რომ დღე-დღეზე პაციენტს ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანს. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა უკვე სამი კვირაა, მწვავე ჰეპატიტის დიაგნოზით ნევს კლინიკა „ლოს აკროსში“ და გამოკეთებისა ჯერ არაფერი ეტყობა. ალკოჰოლით თუ ნიკოტინით ჯანშერყეულმა მარადონამ გუშინ განსაკუთრებით შეუძლოდ იგრძნო თავი და... მოკლედ, დიეგოს საქმე ცუდადაა...



# თემურ ქეცბაია: თამაშს აღარ ვაპირებ

## ქინქლაძის ანორთოსისამდე ქინქლაძე-ფეხბურთელია საჭირო



— თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ მინდორს აღარ დავუბრუნდები. ტრავმამაც იქონია გავლენა, მას შემდეგ აღარ მითამაშია და შეიძლება ითქვას, ფეხბურთელის კარიერა დავასრულე" — გვითხრა „ანორთოსისის" მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ, რომელსაც გუშინ კვიპროსზე დავუკავშირდით.

საქართველოს ნაკრების ყოფილი ლიდერი ამ სეზონში „ანორთოსისის" შემადგენლობაში იშვიათად ჩანდა. ანუ შეგვიძლია, თემურს მოთამაშე-მწვრთნელი აღარ ვუწოდოთ.

ქეცბაიას გუნდი ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან „ომონიას" ერთი ქულით ჩამორჩება, ხოლო ლიდერ „აპოელს" ვეღარ დაეწევა — 12 ქულას აგებს.

რაც შეეხება „ანორთოსისიდან" უფრო ამბიციურ კლუბში გადასვლას, თემურმა ახალი ვერაფერი გვითხრა, საინტერესო და რეალური წინადადება არ მიმიღიაო.

„სამწუხაროდ, წლეულს ჩემპიონობის შანსი არ დაგვრჩა, თუმც თასის ფინალთან ახლოს ვართ: კობა წიტაიშვილის „ლარნაკას" ნახევარფინალის პირველი მატჩი სტუმრად 2:1 მოვუგეთ" — გვითხრა თემურმა.

წიტაიშვილი, გიორგი ქინქლაძე, გიორგი გაბიდაური და ამირან მუჯირი — ბოლო წლებში ქეცბაიასთან ერთად ქართველებიდან ესენი თამაშობდნენ, ამჟამად კი არც ერთი ჩვენიანი არაა გუნდში. ქინქლაძემ ამას წინათ გვითხრა, ფეხბურთს მინდა დავუბრუნდეო და ქეცბაიას ამაზეც ვკითხეთ:

„ამ ეტაპზე რომელიმე ქართველის „ანორთოსისში" გადმოყვანა არ იგეგმება. ქინქლაძემ ჯერ გადაწყვიტოს, სურს თუ არა კარიერის გაგრძელება — თუ მხოლოდ გასართობად უნდა თამაში, ასე არაფერი გამოვა".

**ილია ნანობაშვილი**

# ბოლნისი ცხადაძეს ელის, სიონს კი ყიფშიძე ამზადებს



**თბილისურ** „ამერთან" წაგებული თასის პირველი ნახევარფინალის შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩენილმა ბოლნისის „სიონმა" გუშინ პირველად ივარჯიშა. კახა ცხადაძე გუნდთან ერთად არ ყოფილა, ვარჯიში კი მწვრთნელის თანაშემწე გიორგი ყიფშიძემ ჩაატარა.

„სიონში" გაურკვეველი ვითარებაა. კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ცხადაძეს კონტრაქტი 1 ივნისამდე აქვს და ის გუნდში დაბრუნდებაო. ბოლნისელები გუშინდელ ვარჯიშზეც ელოდნენ მწვრთნელის მისვლას, მაგრამ...

დღეისთვის ბოლნისური კლუბის დირექტორატის შეკრებაა დაგეგმილი და ალბათ ბევრი რამ გაირკვევა. ჩვენ კი მაინც გვგონია, რომ ცხადაძე „სიონს" საბოლოოდ დაშორდა... თუმცა გამორიცხულიც არაფერია.

ხოლო იქამდე „სიონი" „ტორპედოსთან" ხვალინდელი საშინაო მატჩისთვის გიორგი ყიფშიძის ხელმძღვანელობით ემზადება. ბოლნისელებს „ამერთან" 0:3 მარცხის მიუხედავად თასის ფინალში გასვლის იმედიც არ დაუკარგავთ და საინტერესო და დაძაბულ საპასუხო შეხვედრას გვპირდებიან.

**კობა ინასარიძე**

# განუგრავა კვიპროსშიც ყოფილა

## ჯერ პანათინაიკოსი, შემდეგ აპოელი. ახლა?



**სად** არის ახლა გიორგი განუგრავა? მხოლოდ ის ვიცით, რომ 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი, რომელმაც ორი წლის განმავლობაში საქართველოს 17, 19, 21-წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებში ითამაშა, ამჟამად უგუნდოდაა. განუგრავას ორიოდ თვის წინ დაუმთავრდა „ზესტაფონთან" კონტრაქტი და გაგრძელება არ ისურვა.

მარტის დასაწყისში გიორგი ათენის „პანათინაიკოსში" იყო გასინჯვაზე და ორი ტესტ-მატჩიც ითამაშა. ბერძნული პრესის ცნობით, „პანას" მწვრთნელ ვიქტორ მუნიოსს ჩვენიანი თვალში მოსდიოდა. იქაური გაზეთები ბევრს წერდნენ განუგრავაზე, თუმც ქართველი ნახევარმცველი „პანათინაიკოსში" აღარ გამოჩენილა.

ათენიდან წასვლის შემდეგ გიორგი კვიპროსის ჩემპიონატის ლიდერ „აპოელში" წასულა და იქაც უთამაშია ერთი ამხანაგური შეხვედრა. ეს კვიპროსული ვებგვერდებიდან გავიგეთ.

განუგრავას ამბავზე „ანორთოსისის" მწვრთნელ თემურ ქეცბაიასაც ვკითხეთ: „დიახ, იგი იყო „აპოელში" ჩამოსული. „ანორთოსისი" ამხანაგურად ხვდებოდა ამ გუნდს და განუგრავა მაშინ ვნახე. ეს დაახლოებით ორი-სამი კვირის ამბავია, მას შემდეგ კი გიორგიზე არაფერი გამიგია. კონტრაქტი რომ ჰქონდეს გაფორმებული „აპოელთან", ამის შესახებ მეცოდინებოდა".

**ილია ნანობაშვილი**

# ალალი სომხური მერსი ლევან ფანიაშვილს



**ქართველ** მსაჯებს უკვე უცხოეთშიც იწვევენ. სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, ქვეყნის თასის ნახევარფინალურ მატჩს „არარატსა" და „პიუნიკს" შორის ქართველ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურა.

შეხვედრა, რომელიც „არარატმა" 1:0 მოიგო, ფიფას არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა განსაჯა. მას ფიფას ასისტენტები გურამ ჩიგოგიძე და მამუკა ელიკაშვილი ეხმარებოდნენ.

ქართველ მსაჯთა მომსახურებით ჩვენი მეზობლები კმაყოფილნი დარჩნენ და არ არის გამორიცხული, ეს თანამშრომლობა გაგრძელდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




**21 აპრილი, 21-ე ტური**

- ვიტ ჯორჯია — ბორჯომი
- ოლიმპი — ჩიხურა
- მერანი — ბათუმი
- ლოკომოტივი — დინამო
- ზესტაფონი — დილა
- კახეთი — ამერი
- სიონი — ტორპედო
- მესხეთი — მგლები
- სამტრედია — მეშახტე
- ნალჩიკი — ლოკომოტივი
- კრივბასი — მეტალისტი

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

**გრეივსენდი 3:0 ნორსვიჩი**

### ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

**დეპორტივო 0:3 სევილია**

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა
XXIII ტური

**ჩერნო მორე 1:0 მარეკი**

### შვედეთი

სუპერეტა
I ტური

**ჰეკენი 3:0 ფალკენბერგი**
**იონკოპინგი 2:2 ბანკეფლო**
**იორგრიტე 2:1 დეგერფორსი**

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXIII ტური

**ლიბერეცი 3:1 იაბლონეცი**
**ბრნო 1:0 სლოვაცკო**
**სიგმა 2:0 კლადნო**

### პორტუგალია

თასის ნახევარფინალი

**ბელენენსეში 1:1(2:1დ.დ.) ბრაგა**

### ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

**ალკმაარი 6:0 ბრედა**

### ამხანაგური მატჩები

**არგენტინა 0:0 ჩილე**

### რუმინეთი

თასის ნახევარფინალი

**პანდურიი 0:2 რაპიდი**

# გიორგი ვადაჭკორია: ინფორმაციის გაცვლას ყველა ერიდება

## რაც ფიფას არბიტრი ვარ, ქრთამი არ შემოუთავაზებიათ



**მსაჯობა რთული ხელობაა და ერთიორად ძნელია ის საქართველოში, სადაც ძალიან ხშირად ყველაფერში მსაჯია დამნაშავე. მსაჯები უცოდველნი არ არიან, მაგრამ არცთუ იშვიათად მათ უსამართლოდაც აკრიტიკებენ და ლანძღავენ. საქართველოში ტენდენციაა, მსაჯი ზოგადად უარყოფითი პერსონაა, მაგრამ ყველა მსაჯი ერთნაირი ვერც საქართველოში იქნება... მსაჯი ბევრ რამეს ითმენს, ბევრ რალაცას ანგარიშს უწევს და მისი მოქმედება ხანდახან მნიშვნელოვნად განაპირობებს მატჩის შედეგსაც.**

**29 წლის გიორგი ვადაჭკორია 2004 წლიდან მსაჯობს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და წლეულს ფიფას არბიტრიც გახდა. მსაჯობა არაპოპულარული პროფესიაა განსაკუთრებით ვადაჭკორიას თაობაში და მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...**

— რატომ გადავწყვიტე მსაჯობა? პირველ რიგში ალბათ იმიტომ, რომ ფეხბურთში მინდოდა დარჩენა. 1998 წლამდე ფეხბურთელი ვიყავი. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ვთამაშობდი, მაგრამ ისეთი ტრავმა მივიღე, ფეხბურთელობა ველარ გავაგრძელე. შემდეგ ბავშვთა ფეხბურთში დავიწყე მწვრთნელობა, ყოფილმა მსაჯმა ავთო კოკაიამ კი მსაჯობა შემომთავაზა. ჯერ ამის წინააღმდეგი ვიყავი, თუმც მოგვიანებით მაინც გადავწყვიტე.

**— არასოდეს გინანიათ ეს გადაწყვეტილება?**

— შეცდომები მქონდა, მაქვს და ალბათ კიდევ მექნება. როცა ისეთ შეცდომას დავუშვებდი, რომელიც მატჩის შედეგზე იმოქმედებდა, მთელი ლამე არ მეძინა და დავფიქრებულვარ, ღირდა თუ არა მსაჯობის გაგრძელება. ასეთი დილემის წინაშე რამდენჯერმე ალმოვჩნდი, თუმც ფსიქოლოგიური ბარიერი ყოველთვის დავძლიე, რაშიც მეგობრებიც მეხმარებოდნენ.

**— უმაღლეს ლიგაში დაგიშვიათ ისეთი შეცდომა, მატჩის შედეგზე გავლენა რომ მოეხდინა?**

— ჯერ ასეთი შეცდომა არ მომსვლია.

**— ისეთი შემთხვევა თუ ყოფილა, უმაღლესი ლიგის თამაშისთვის ქრთამი შემოეთავაზებინოთ?**

— ასეთი რამ დაახლოებით ხუთ-ექვსჯერ მოხდა.

**— რამდენს გთავაზობდნენ?**

— ერთხელ 1000 ლარი შემომთავაზეს, ერთხელ 500... უკვე შუალამეა და გუნდის მწვრთნელი მირეკავს, კლუბის პრეზიდენტის სახელით გელაპარაკები და 500 ლარს გთავაზობო. ამ გუნდმა მეორე დღეს 0:4 წააგო.

**— რა გიშლით ხელს იმაში, რომ საჯაროდ დაასახელოთ ის ხალხი, ვინც ქრთამს გთავაზობდათ?**

— ხელს არაფერი მიშლის და თუ მსგავსი კიდევ განმეორდება, ყველაფერს ვიტყვი. როცა ქრთამს მთავაზობდნენ, ფიფას არბიტრი არ ვიყავი, უფრო მაღალი სტატუსი რომ მქონოდა, ალბათ უფრო გაბედული ვიქნებოდი და იქნებ დამესახელებინა კიდეც ის პირები. ეს ფედერაციის წინა ხელმძღვანელობის დროს ხდებოდა.

**— ამ ფედერაციის დროს ქრთამი არასდროს შემოუთავაზებიათ?**

— არა.

**— სხვა მსაჯებსაც არ სთავაზობენ ახლა ქრთამს?**

— ასეთი ინფორმაციის გაცვლას ყველა ერიდება და ვერაფერს გეტყვით.

**— რომ თქვათ, დღეს ქართველი მსაჯები ქრთამს აღარ იღებენო, როგორ ფიქრობთ, ამას დაიჯერებენ?**

— ამის დაჯერება ძნელი იქნება, მსაჯი გაიგივებულია ყველაზე ნეგატიურ პერსონასთან. მსაჯის პიარს პრესაც უწყობს ხელს. ზოგიერთი ჟურნალისტი მსაჯს შეფასებასაც კი უწერს, რაც ძალიან სუბიექტურია.

**— გულშემატკივრების მხრიდან მსაჯის შეურაცხყოფა ჩვენში ჩვეულებრივი ამბავია, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, კლუბები ამ მიმართულებით გულშემატკივრებთან ფაქტობრივად არ მუშაობენ...**

— გულშემატკივარს ავიწყდება, რომ მსაჯიც ადამიანია. არბიტრმა ბეუქლიშვილმა შემგინებელ მაყურებელს გინებითვე უპასუხა და ორი ტურით დაისაჯა. რა თქმა უნდა, მსაჯი არ უნდა აყვეს მაყურებელს, მაგრამ ისიცაა, რომ მსაჯი გულშემატკივარს ყვითელ ან წითელ ბარათს ვერ უჩვენებს, ანუ ყველაფერი ასევე ადამიანურ ფაქტორზეა დამოკიდებული. მეც ვიყავი ფეხბურთელი, მაგრამ მსაჯისთვის შეურაცხყოფა არასდროს მიმიყენებია.

**— მსაჯს შეუძლია ფეხბურთელს ყვითელი ან წითელი ბარათის აჩვენოს, მაგრამ არცთუ იშვიათად ქართველი მსაჯები წაუყრუებენ ხოლმე ფეხბურთელების გინებას — რისი ბრალი უნდა იყოს ეს?**

— ყველა მსაჯი ინდივიდია და ზოგი მართლა არ რეაგირებს, როცა მას ფეხბურთელი აგინებს. არ ვიცი, რატომ ხდება ასე. როგორც უნდა იყოს, ამ მხრივ სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა.

**— საქართველოში ყველაზე უფრო რომელი გუნდის საშინაო მატჩებზეა ძნელი მსაჯობა?**

— თუ რომელიმე თამაშის მსაჯობის გეშინია, სჯობს, საერთოდ არ გახვიდე მოედანზე. გუნდები თანდათან ეგუებიან იმას, რომ მსაჯთან კამათს და მსაჯის მიმართ აგრესიას აზრი არ აქვს. მსაჯთა დაცვის მექანიზმიც ახლა უკეთესია. ჩემთვის არ არსებობენ ისეთი გუნდები, რომელთა საშინაო მატჩების მსაჯობა ძნელია.

**— მექანიზმი ახსენეთ და, ალბათ მსაჯისგან გუნდის „დაწვის“ ტექნოლოგიებიც დაიხვეწა. ახლა მსაჯი აშკარად ნამდვილად არ ემხრობა ამა თუ იმ გუნდს, მაგრამ ალბათ თქვენც კარგად ამჩნევთ, როგორ „წვავს“ მსაჯი გუნდს შენიღბულად — შეგიძლიათ, გაგვანდოთ მსაჯის ასეთი ხერხები?**

— მსაჯი აჩერებს თამაშს, როცა ბურთს კარგ პოზიციაში მყოფი დაზარალებული მხარე ფლობს; რეაგირებს ან არ რეაგირებს დროის გაყვანაზე; მსაჯის მიერ დამატებული წუთების განსაზღვრა, ტემპის დაგდება...

თუმცა არის სხვაც: ფეხბურთელი დაშავდა, თამაში ჩერდება და ის მოედნიდან გაჰყავთ... 2006 წლის მუნდიალზე კი ეს პროცესი შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ ასეთი შემთხვევების 75 პროცენტი ფეხბურთელების სიმულაციით იყო გამოწვეული, მოკლედ, თამაშის მართვა იოლი არ არის.

**— მსაჯი ახლა უფრო დაცულია მოედანზეო, თქვით, მაგრამ როგორ არის მსაჯი დაცული სოციალურად — საქართველოში მსაჯებს გაქვთ პროფკავშირული ტიპის ორგანიზაცია, რათა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციაზე არ იყოთ დამოკიდებულნი? რას ემსახურება მსაჯების ასოციაცია?**

— მსაჯების ასოციაცია უეფას მოთხოვნით შეიქმნა საქართველოში. მისი პრეზიდენტი ანატოლი მილჩენკო იყო, რომელიც მერე კლუბში გადავიდა სამუშაოდ და ასოციაციის პრეზიდენტი ავტომატურად ვიცე-პრეზიდენტი ოთარ გუნთაძე გახდა. ეს ასოციაცია ახლაც არსებობს, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე. მიმაჩნია, რომ პროფკავშირული ორგანიზაცია საჭირო არ არის, ჩვენი ინტერესების დამცველი ფეხბურთის ფედერაციაა, უშუალოდ მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი.

**— როგორ ფიქრობთ, ასისტენტებს და მეოთხე მსაჯს არბიტრი უნდა ირჩევდეს თუ ფედერაცია უნდა ნიშნავდეს?**

— ამასწინათ რომში მოეწყო ფიფას მსაჯთა შეკრება და უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრმა მანუელ ლოპესმა გვითხრა, როცა ამა თუ იმ თამაშისთვის მოწვევა მოგივათ, ეცადეთ, აირჩიოთ ისეთი ბრიგადა, რომლის წევრები ერთმანეთს კარგად უგებთო. საერთაშორისო მატჩებს, თუ არ ჩავთვლით ასაკობრივ ნაკრებებს, ერთი ქვეყნის მსაჯთა ბრიგადები ემსახურებიან. ჩვენთან კი ბრიგადას ფედერაცია ადგენს.

**— როგორ ემზადებით კონკრეტული მატჩის სამსაჯოდ?**

— სამი წლის წინ იტალიაში გვითხრეს, თუ როგორ ემზადებოდა მატჩისთვის პიერლუიჯი კოლინა. მაგალითად, მას უნდა ემსაჯა „იუვენტუსი“ — „მილანი“. კოლინა უყურებდა ამ გუნდების სხვადასხვა მატჩს ვიდეოზე, აკვირდებოდა მათ ტაქტიკას და ფეხბურთელებს, ცდილობდა, თითოეული მოთამაშე კარგად შეესწავლა. ჩვენთან ამის საშუალება არ არის, მაგრამ უამისოდაც თითქმის ყველა გუნდი და ფეხბურთელი შესწავლილი მყავს.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

## ზემოთა ქვე და ქვემოთა ზე: გვეპატიჟებით იმერულ დერბიზე?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 19:23 | 22 |
| ლოკომოტივი | 20 | 5 | 5 | 10 | 13:26 | 20 |
| ჩიხურა | 20 | 4 | 6 | 10 | 12:27 | 18 |
| მერანი | 20 | 4 | 6 | 10 | 14:31 | 18 |
| დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13:49 | 9 |
| კახეთი | 20 | 0 | 1 | 19 | 16:60 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 26 | 20 | 2 | 4 | 46:15 | 62 |
| მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46:14 | 55 |
| ოლიმპი (თბ) | 27 | 13 | 6 | 8 | 46:29 | 45 |
| მეშაქრე | 27 | 12 | 8 | 7 | 31:24 | 44 |
| მაღაროელი | 27 | 12 | 7 | 8 | 38:27 | 43 |
| ამერი 2 | 27 | 11 | 10 | 6 | 42:30 | 43 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 12 | 6 | 8 | 41:22 | 42 |
| გაგრა | 27 | 12 | 5 | 10 | 35:31 | 41 |

**ვინ გახდება** ამ სეზონში საქართველოს ჩემპიონი, გვარიანად თავსატეხი კითხვაა და დიდი შანსია, მას ბოლო ტურამდე არ ეპასუხოს. უფრო იოლად საპასუხო კითხვა დავსვათ: ვინ მოიგებს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგას?

რა თქმა უნდა, ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ძალიან გვეეჭვება, ზუგდიდის „მგლებს“ ჩემპიონობაში ვინმე შეეცილოს. ამ ვინმეში კი, ცხრილს თუ ჩავხედავთ, ახალციხის „მესხეთი“ იგულისხმება. ერთიც ვთქვათ: ზუგდიდელები ერთ ხანს იმხელა უპირატესობით ლიდერობდნენ, რომ ბოლოსკენ ცოტა მოდუნების უფლება მისცეს თავს, თორემ მათი ჩემპიონობა, ვინძლო, ახლავე გადაწყვეტილი ამბავი ყოფილიყო.

თუმც მთავარი სხვა რამ არის — „მგლები“ და „მესხეთი“ გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ. ეს ნაღდად გარკვეულ ამბად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ახლა, პრაქტიკულად, ცხრილის ზედა ნაწილში ისლაა გასარკვევი, მესამე ადგილზე ვინ გავა, რაკი მესამეადგილოსანი საუმაღლესლიგო პლე ოფში ითამაშებს.

კანდიდატებიდან „ოლიმპი“, „ამერი 2“ და „ვიტ ჯორჯია 2“ უნდა გამოვრიცხოთ, რაკი ფარმკლუბები არიან და ალზევების უფლება არ აქვთ, ანუ რეალური საპლეიოფო შანსის მქონენი სამნი რჩებიან: აგარის „მეშაქრე“, ჭიათურის „მაღაროელი“ და „გაგრა“.

ამ გუნდების დარჩენილი მატჩების განრიგს თუ გადავავლებთ თვალს, ჩვენი შეფასებით, სამივეს დაახლოებით თანაბარი კალენდარი აქვს, გამორჩეული მატჩი კი 31-ე ტურის „მაღაროელი“ — „გაგრა“ იქნება. წაგების შემთხვევაში გაგრელები, რომლებსაც ისედაც სხვებზე უარესი სატურნირო მდგომარეობა აქვთ, პრაქტიკულად დაკარგავენ საპლეიოფო შანსს.

ერთი საინტერესო ფაქტიც, თუ პლეიოფელის ვინაობა ბოლო ტურამდე არ გაირკვა: ბოლო ტურში „მეშაქრე“ „ამერი 2“-ს ესტუმრება, რომლის შემადგენლობაშიც „მაღაროელის“ მთავარი მწვრთნელის შვილი, დავით სევასტოპულო თამაშობს და საშულება ექნება, მამის გუნდს საუმაღლესლიგო შანსი მისცეს.

და რას უნდა ველოდოთ პლეი ოფში? ერთ-ერთ ვარიანტად „ჩიხურა“ — „მაღაროელიც“ მოჩანს და ზემოიმერული დერბი მერე ნახეთ...

**კოტე კეკელია**

# არ ვართ მდიდრები, მაგრამ ვართ მონდომებულები

## გიორგი სეთურიძე: ჩემპიონობა რუსთავში გადაწყდება

მარჯვენაფლანგელი გიორგი სეთურიძე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერის, რუსთავის „ოლიმპის" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. სეთურიძე ახალგაზრდული ნაკრების ნევრიც იყო რალფ მინგეს გაწვრთნილ გუნდში. ის ქართულმა საფეხბურთო მილეთმა შარშანწინ გაიცნო, როცა „ლოკომოტივში" თამაშობდა. სეთურიძის აყვანა თბილისის „დინამოსაც" სურდა, მაგრამ თანხაზე ვერ მოურიგდა „ლოკომოტივს" და გიორგი „ბათუმში" გადავიდა. მიმდინარე სეზონიდან კი ოლიმპელია, თუმც იქაც იჯარითაა, ისევ „ლოკომოტივს" ეკუთვნის.

სეთურიძე, ასე ვთქვათ, ახალი ფორმაციის ფეხბურთელია. შეუძლია დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, ხისტი და სწრაფია, შეტევაშიც და დაცვაშიც კარგად თამაშობს და მომდევნო სეზონიდან საქართველოში დარჩენას აღარ აპირებს. სეთურიძეს, ცხადია, სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ...



— თქვენს უხლოეს მდევარ „დინამოს" სამი ქულით უსწრებთ. მიგაჩნია, რომ „დინამოს" უკეთესი კალენდარი აქვს დარჩენილი...

— არა მგონია, ასე იყოს. ლიდერ გუნდებთან ორი მატჩი დაგვრჩა და ორივე შინ უნდა ვითამაშოთ — „ამერთან" და „დინამოსთან". ჩემპიონის ვინაობა ალბათ სწორედ რუსთავში, „ოლიმპი" — „დინამოს" შეხვედრაში გადაწყდება.

— პირველ წრეში „დინამოსთან" სკანდალურ მატჩში 0:1 წააგეთ — მას შემდეგ „დინამო" მნიშვნელოვნად გაძლიერდა...

— ჩვენც არანაკლებ გავძლიერდით — დავიმატეთ რევაზ გოცირიძე, დავით ჭიჭველიშვილი და გიორგი ნავალოვსკი. რაც შეეხება იმას, რომ წინა ტურში „ვიტ ჯორჯიას" ვერ მოვუგეთ, ყველა თამაშს ვერც ერთი გუნდი ვერ მოიგებს, თანაც „ვიტ ჯორჯია" საკმაოდ კარგი გუნდია და, სხვათა შორის, „დინამოსაც" დარჩა სათამაშო „ვიტ ჯორჯიასთან".

— „ოლიმპს" უცხოური შეკრება არ გაუვლია, „დინამომ" კი მარტო მეორე წრის წინ ორი უცხოური შეკრება გაიარა — ესეც არ აძლევს უპირატესობას თქვენს მთავარ კონკურენტს?

— უცხოური შეკრება მართლაც მნიშვნელოვანია ფეხბურთელისთვის, მაგრამ რადგან შეკრება ვერ გავიარეთ, ჩემპიონობისთვის არ უნდა ვიბრძოლოთ?! აძლევს თუ არა უცხოური შეკრებები უპირატესობას „დინამოს", ეს უშუალოდ „ოლიმპი" — „დინამოს" მატჩით გამოჩნდება.

— ბევრს მიაჩნია, რომ რევაზ ძოძუაშვილის ხელში „ოლიმპი" უფრო დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე შემტევს — ამაზე რას იტყოდი?

— ჩვენ 3-4-3 სქემით ვთამაშობთ, მხოლოდ ორჯერ ვითამაშეთ სხვანაირი განლაგებით — 4-4-2 და 3-5-2. კონკრეტულ თამაშში კონკრეტულ ტაქტიკას ვირჩევთ, რაც შეეხება სათამაშო კონცეფციას, როცა შეტევაში ვართ, მეტოქეს შვიდი-რვა კაცით ვუტევთ.

— „ლოკომოტივში" და „ბათუმში" უფრო ეფექტურად თამაშობდი, ვიდრე „ოლიმპის" ბოლო მატჩებში — რა არის ამის მიზეზი?

— ერთი პერიოდი ვერ ვიყავი ფორმაში, თანაც „ოლიმპში" მარჯვენა მცველად მათამაშებდნენ, „ბათუმში" კი მარჯვენა ნახევარმცველი ვიყავი. ახლა ისევ ნახევარდაცვაში დამაყენეს და კარგ ფორმაშიც ვარ — უკეთესობისკენ მივდივარ.

— საქართველოს ჩემპიონატში ხუთიექვსი წამყვანი გუნდი გამოიკვეთა, რომელთაგან „ოლიმპს" საუკეთესო მატერიალური თუ ფინანსური პირობები არ გააჩნია — ყველაზე უფრო რა განაპირობებს „ოლიმპის" ლიდერობას?

— ფეხბურთელები მოედანზე რასაც გავახერხებთ, იმაზე ვართ დამოკიდებულნი. სხვა წამყვან გუნდებზე მეტი ფული ნამდვილად არ გვაქვს, არა მგონია, მეექვსე ადგილზე მყოფ „სიონზე" მდიდრებიც ვიყოთ, მაგრამ ჩვენი მონდომებით პირველ ადგილზე ვართ.

— ამ სეზონისთვის ბოლნისის „სიონი" გიწვევდა — რატომ არჩიე „ოლიმპი"?

— „სიონი" და „ლოკომოტივი" საიჯარო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ და „ოლიმპში" გადავედი.

— როგორ ფიქრობ, „ოლიმპს" ჩხუბისთავი გუნდის იმიჯი რატომ შეექმნა?

— ეს ჩვენ წინააღმდეგ აგორებული ტალღა იყო. პირველ წრეში ჩვენ და „დინამოს" შორის მართლაც მოხდა ინციდენტი, მეორე წრეში კი არანაკლები ჩხუბი მოხდა ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში, მაგრამ ამას რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება.

— გავიგეთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „ოლიმპიდან" მიდიხარ...

— „ოლიმპიდან" ევროტურნირზე თამაშის შემდეგ წავალ. უცხოეთში ვაპირებ კარიერის გაგრძელებას.

**დავით თავართქილაძე**

# დავით გელაშვილი: ახალკაცი კი არა, ახალი კაცი გვინდა



**„ბორჯომი"** მეორე სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში. შარშანდლისგან განსხვავებით, სამცხელები უეფას თასის საგზურს ვერ ეპოტინებიან, ის კი არა, ერთი ხანობა გასავარდნადაც ჰქონდათ საქმე, თუმც მეორე წრეში ქულები აკრიფეს.

„ბორჯომი" გამგეობის ხარჯებზეა და კლუბის პრეზიდენტ დავით გელაშვილს სხვა საინტერესო ამბების გარდა, ამაზეც ვკითხეთ. გელაშვილი რამდენჯერმე გაეხვია საფეხბურთო სკანდალში — ამასწინათ, „ზესტაფონთან" თასის მეოთხედფინალში გავარდნის შემდეგ „ბორჯომის" პირველკაცი მსაჯებსა და ფეხბურთის ფედერაციას შემოსწყრა, რისთვისაც ფულადი ჯარიმა გამოუწერეს.

„სეზონი არ დასრულებულა და სამომავლო გეგმებზე ზუსტად ვერ გეტყვით. დიდი იმედი გვაქვს, რომ „ბორჯომს" სპონსორი გამოუჩნდება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დაკონკრეტება მერე იყოს. ამჟამად კი კლუბში ნორმალური ფინანსური მდგომარეობაა, ვალები არ გვაქვს. ცხრილში რა მდგომარეობაც გვაქვს, პირობებიც იმის შესაბამისია" — გვითხრა გელაშვილმა.

„ბორჯომის" პრეზიდენტმა „ზესტაფონთან" სათასო თამაშის შემდეგ ისიც თქვა, მსაჯები გამიზნულად გვჩაგრავენო. გელაშვილმა გაიმეორა, მაშინდელი განცხადება ცხელ გულზე არ გამიკეთებიაო.

„თავი და თავი ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცია. მას, როგორც პიროვნებას, არანაირად არ ვეხები, მაგრამ ეგ კაცი არათუ პრეზიდენტად, ფეხბურთის ფედერაციაში საერთოდ არ უნდა მუშაობდეს. არ დაინტერესებულა, რით არსებობს „ბორჯომი": ადრე იყო, „ზესტაფონზე" იყო გადაფარებული, ახლა კი სულ კლაუს ტოპმიოლერთან ერთად დადის. რამე იცვლება სასიკეთოდ ქართულ ფეხბურთში? ახალკაცი არაფერს აკეთებს და კიდევ მისი არჩევა თუ უნდათ პრეზიდენტად, კარგად გვქონია საქმე. ახალკაცთან რამდენჯერმე ვეცადე დალაპარაკებას, მაგრამ ვერ დაელაპარაკები ნორმალურად. საერთოდ, ვინმეს თუ ესაუბრება, ძალიან მაინტერესებს."

დავით გელაშვილს ახალკაცზე გულისწყრომის მიზეზების დაკონკრეტება ვთხოვეთ, თუმც ასე გვითხრა — სალაპარაკო და გულდასაწყვეტი იმდენია, ერთბაშად ვერ მოვყვებიო.

„გამოდის, თუ მსაჯმა შეცდომა დაუშვა, პროტესტი არ უნდა გამოთქვა. „ზესტაფონთან" თამაშის შემდეგ ფედერაცია იმით კი არ დაინტერესებულა, იყო თუ არა ჩვენს სასარგებლოდ პენალტი დასანიშნი, არამედ პირდაპირ გამოაცხადეს, არანაირ პროტესტებს არ მივიღებთო".

**ილია ნანობაშვილი**

# ნესტორ მუმლაძის პერსპექტივა: ახალგაზრდები და უეფა

თბილისის „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონატში ყოველთვის იყო ანგარიშგასაწევი გუნდი და ახლაც ასეა, თუმცა წლევანდელ სეზონში ვიტელებმა რამდენიმე შეხვედრაში მოისუსტეს და ჩემპიონობაზეც ველარ ფიქრობენ. განსაკუთრებით მწარე მარცხი „ვიტ ჯორჯიამ" ზესტაფონში იგემა, როცა ფეროელებისგან ხუთი უპასუხო გოლი მიიღო. ვიტელთა მწვრთნელ ნესტორ მუმლაძეს გუნდის ნავსიანი პერიოდის მიზეზებზე დავეკითხეთ...



— ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ასეთი ანგარიშით მარცხდები, მაგრამ ამას არ ვიმსახურებდით. პირველი გოლი დასანანი გავუშვით, მერე პენალტით გაგვიტანეს, შემდეგ კი ათი კაცით დავრჩით, თუმცა ყურები არ ჩამოგვიყრია და რამდენიმე კარგი შანსი ჩვენც გვქონდა. ანუ, თამაშის მიხედვით, 0:5 ნამეტანი იყო.

— ისევ ფიქრობთ, რომ დავით დიღმელაშვილისა და გიორგი ფეიქრიშვილის წასვლით გუნდი არ დასუსტდა?

— ბუნებრივია, ასეთი ფეხბურთელების წასვლის შემდეგ საქმე გაგვირთულდა, მაგრამ შეუცვლელი არავინაა. „ვიტ ჯორჯიაში" ახლა თაობათა ცვლა მიმდინარეობს და საკმაოდ წარმატებითაც. ჩვენთან რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი თამაშობს და ისინი მალე იტყვიან თავიანთ სათქმელს.

— ჩემპიონობის შანსი აღარ დაგრჩათ, თუმცა შესაძლებელია, უეფას თასის საგზური მოიპოვოთ...

— უეფას თასზე სათამაშოდ სერიოზულ ბრძოლას ვაპირებთ და იმედი მაქვს, ამას მივაღწევთ. თუმცა არც ინტერტოტოზე ვიტყვით უარს.

— თქვენი აზრით, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე რომელი ფეხბურთელები იმსახურებენ ნაკრებში თამაშს?

— კონკრეტულად დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ჩვენს ჩემპიონატში ნამდვილად მოიძებნება რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც ამას იმსახურებენ. ახალგაზრდას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნაკრებში მოხვედრის იმედი, სხვანაირად ჩემპიონატი უაზრო იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრები სამეფო კარზე



## მარადონას მალამო და პელეს არითმეტიკა

**დიეგო მარადონამ** ასეთი რამ თქვა — საავადმყოფოში დაწოლილს გულის ტკივილი კრიშტიანუ რონალდუს ცქერამ დამიამა. თურმე, მსოფლიო ფეხბურთის დიდ ვარსკვლავს ასოციაციის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ „უოტფორდის“ 4:1 რბევა უნახავს და აღფრთოვანებულა. გენიოსის პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ ჟურნალისტებს უამბო, დიეგომ მითხრა, რომ რონალდუს თამაშით მოხიბლულია და პორტუგალიელს ფენომენი უწოდაო.

შეგახსენებთ, რომ 46 წლის მარადონა ერთი კვირის წინ მუცლის მწვავე ტკივილების გამო გააქანეს ბუენოს აირესის კლინიკა „ლოს აკროსში“, სადაც ხელმეორე ჰეპატიტი დაუდგინდა.

მაგრამ, მარადონა რის მარადონაა — საავადმყოფოში დაწოლის მეორე დღეს, შაბათს, მას საავადმყოფოდან სტადიონზე წასვლა და „ბოკა ხუნიორსისა“ და „რივერ პლეიტის“ დერბიზე დასწრება მოუნდა, რაც ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს, სანაცვლოდ კი პალატაში მეტრიანი დიაგონალის ტელევიზორი დაუყენეს და დამამშვიდებლების რაოდენობა შეუმცირეს, რეპორტაჟის დროს რომ არ ჩაძინებოდა. სწორედ დამამშვიდებლების შემცირების წყალობით მოახერხა დიდმა დიეგომ „ბოკა“ — „რივერის“ მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზემოხსენებული მატჩის ნახვა.

და მაინც, რატომ გაამახვილეს ჟურნალისტებმა ყურადღება იმაზე, თუ რა თქვა რონალდუზე მარადონამ? საქმე ის გახლავთ, რომ ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე პორტუგალიელმა „იუნაიტედთან“ კონტრაქტი გააფორმა, რასაც, ბუნებრივია, პრესკონფერენცია მიეძღვნა, რომელზეც სახელგანთქმულმა ალექს ფერგიუსონმა თავისი ვარსკვლავი მარადონას და პელეს გვერდით ახსენა: „ნიჭით რონალდუ მარადონასა და პელეს გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ. ამიერიდან მისი ამ ორ ვარსკვლავთან გატოლება უკვე ხალხზე და სხვა მწერთნელებზეა დამოკიდებული“.

მოკლედ, მე ჩემი მითქვამს და, დანარჩენი თქვენზე იყოსო, გვიბრძანა შოტლანდიელმა სერმა და, ბუნებრივია... პელე გააღიზიანა. დიდმა ბრაზილიელმა, მარადონასგან განსხვავებით, პორტუგალიელს დონე და ოსტატობა დაუწუნა.

აი, კერძოდ, რა თქვა „ფეხბურთის მეფემ“:

„ორი აზრი არ არსებობს, რომ კრიშტიანუ რონალდუ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მისი საუკეთესოდ დასახელება ჯერ მეტისმეტად ადრეა. საერთოდ, იმის თქმა, ვინ არის საუკეთესო, ყოველთვის ძნელია. 10 წლის განმავლობაში ჩვენ ზინედინ ზიდანი გვყავდა საუკეთესო. ვერ გეტყვით, რა დაემართა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, როგორც ჩანს, ჭკუა დაკარგა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტია, რომ 10 წლის განმავლობაში მას ბადალი არ ჰყავდა. შემდეგ, ხუთი წლის განმავლობაში გვყავდა რონალდინიო, რომელიც საყოველთაოდ საუკეთესოდ მიიჩნიეს (თუ ამ ნათქვამისა რაიმე გაიგეთ, გთხოვთ, შეგვატყობინოთ. „სარბიელი“). ერთი სიტყვით, საუკეთესო ფეხბურთელის არჩევა ექვსი თვით და ერთი წლით არ ხდება, საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა უფრო დიდმა პერიოდმა უნდა დაადგინოს“.

ამის შემდეგ კი პელემ ამერიკაში მიმავალი დევიდ ბექჰემის გამო ბრძანა:

„მე რომ შტატებში ჩავედი, იქ ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც ფრანც ბეკენბაუერი, ჯორჯ ბესტი და იოჰან კრუიფი იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენი წამოსვლის შემდეგ ამ ქვეყანაში ფეხბურთს დიდ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, არადა, იქ, 8-დან 20 წლამდე ასაკის ბევრი ადამიანი დასდევს ბურთს. შემდეგ, როდესაც ისინი 20 წლისანი ხდებიან, ანუ პროფესიულ დონეზე გადასვლის დრო უდგებათ, ბეისბოლს, ამერიკულ ფეხბურთს და სხვა სახეობებს აკითხავენ. ბექჰემის გადასვლამ იქნებ ვითარება შეცვალოს, თუმცა არა მგონია, მარტო დევიდ ბექჰემი საკმარისი იყოს. სხვა ცნობილი ფეხბურთელების ჩასვლაც არის საჭირო“.

და განა „მეფე“ რამეს ტყუის?

**ბაჩუნა ჭედია**

## წამო, მალაზიაში
### ვიქტორიას დაბადების დღე დევიდის დაბრუნების დღემდე

**17 აპრილს** დევიდ ბექჰემმა პირმშვენიერი მეუღლის ვიქტორია ადამს-ბექჰემის 33-ე დაბადების დღე პარიზში 110 ათას გირვანქიანი მოგზაურობით აღნიშნა. მოგზაურობა, ნუ გაგიკვირდებათ და, მხოლოდ 12-საათიანი იყო — აქედან დასკვნა: 110 ათასი გირვანქის დახარჯვა 12 საათშიც ყოფილა შესაძლებელი — და ამ დროის უმეტესი ნაწილი ცოლ-ქმარმა... მაღაზიებში გაატარა.



როგორც დაკვირვებული თვალის მქონე ადამიანები იფიცებიან, „პოშმა“, ანუ ვიქტორიამ 70 ათასი ტანსაცმელში, სამკაულებსა და „ფინტი-კლუშკებში“ დახარჯა. ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი Christian Loubouten-ის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ყოფილა, რომელშიც „სფაის გელზის“ ყოფილ მომღერალს 1,5 ათასი გირვანქა გადაუხდია.

შოპინგის შემდეგ ცოლ-ქმარ ბექჰემებს დღე ოტელ „რიცში“, 15 ათასიან ნომერში გაუტარებიათ.

„ვიქტორია გაოცებული დარჩა, მას ეგონა, რომ დევიდი დაბადების დღეზე ფეხბურთელებთან ერთად ჩინურ რესტორანში წაიყვანდა“ — თქვა მავანმა ჯესლიანმა „ახლობელმა“.

და ერთიც: ბექჰემმა ტრავმა უკვე მოიშუშა და დიდი შანსია, „რეალს“ მომავალ ტურში დაუბრუნდეს...

**ბაჩუნა ჭედია**

### სანტანა და ივანი

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ამ ზაფხულს ნახევარდაცვის გადახალისება სურს. „ათლეტებმა“ თვალი დაადგეს მიკელ არტეტას („ევერტონი), კლებერ სანტანას („სანტოსი“) და ივან დე ლა პენიას („ესპანიოლი“). ესენი შემქმნელებად უნდათ, ხოლო ჩამშლელების, კოშტინიას და მანიშეს ნაცვლად, რომლებმაც ვერ გაამართლეს, ბენფიკელი კოსტას კაცურანისი შეუგულებიათ. ბერძენის ფასი დაახლოებით 6 მილიონი ევროა.

### გატუზოსავით მუდინგაი

**„მილანი“** „ლაციოს“ ორ ფეხბურთელს, მცველ გილერმო სტენდარდოს და ნახევარმცველ გაბი მუდინგაის უთვალთვალებს.

„კონტროკამპოს“ ცნობით, სტენდარდო კარლო ანჩელოტის დაცვის გასაძლიერებლად უნდა, რადგან პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა და კაფუ მომავალი სეზონიდან „მილანს“ ველარ დაეხმარებიან, ხოლო ბელგიელი მუდინგაი ჯენარო გატუზოსავით ფეხბურთელი ყოფილა.

### გავყიდოთ წუწუნი

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** ლუი საას გაყიდვას ფიქრობს. ალექს ფერგიუსონი უკმაყოფილოა იმით, რომ 28 წლის ფრანგი ფორვარდი ტრავმებმა გააწამა.

საა „მანჩესტერში“ „ფულემიდან“ 2004 წელს გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში 66 მატჩი ითამაშა. ბოლო თვენახევრის განმავლობაში კი მხოლოდ 36 სათამაშო წუთი მოუგროვდა.

„დეილი მირორის“ თანახმად, ფერგიუსონს აღიზიანებს საას საქციელი, რომელიც მცირე ტრავმებზეც კი წუწუნებს და მოედანზე გასვლას უარობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**ბლექბერნი 3:1 უოტფორდი**

1:0 სამბა (7), 2:0 რობერტსი (10), 2:1 რინალდი (21), 3:1 მაკკარტი (32)

ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, დანი (თუგაი 77), მოკოენა, პედერსენი (გალაშერი 75), რობერტსი, მაკკარტი (დერბიშირი 80)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, კარლაილი, დე მერიტი, სტიუარტი, სმიტი (ჩემბერსი 28, კინგი 49), მაჰოუნი, ფრენსისი, რინალდი (კაბა 46), პრისკინი, ბუაზა

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

მსაჯი: ფოი

16 035 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 მიდლსბრო**

1:0, 2:0 ჯერარდი (58, 65პ)

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, მასკერანო, სისოკო (კუიტი 51), ზენდენი, ჯერარდი (მ. გონსალესი 87), კრაუჩი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მიდლსბრო: შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, ბოატენგი, მორისონი (ვიდუკა 66), კეტერმოლი (დ. ჯონსონი 81), როჩემბაკი, დაუნინგი, აიეგბენი

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: დევისი

მსაჯი: პოლი

41 458 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:4 ჩელსი**

0:1 რაიტ-ფილიპსი (31), 1:1 ტევესი (35), 1:2 რაიტ-ფილიპსი (36), 1:3 კალუ (52), 1:4 დროგბა (62)

ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი, კოლინზი, ნილი, მაკკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი (მაინსი 76), ნობლი, ბოა მორტე, ტევესი (ბლანკო 83), ზამორა (კ. კოული 72)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ჩელსი: ჩეხი, დიარა (ფერეირა 46), კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, ესიენი, მიკელი, ლამპარდი (ბალაკი 78), რაიტ-ფილიპსი, დროგბა (ჯ. კოული 67), კალუ

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: რეო-კოკერი, ნილი, მაინსი, მაკკარტნი, ბოა მორტე, დიარა, დროგბა

მსაჯი: დინი

34 966 მაყურებელი

# ოჯახიშვილები

**შონ** რაიტ-ფილიპსი დარწმუნებულია, რომ „ჩელსის" შეუძლია, დაუღალავად მისდიოს „მანჩესტერს", რადგან ყველა ფეხბურთელი ჟოზე მაურინიუს „ოჯახის წევრად" გრძნობს თავს. რბოლა გრძელდება და ხუთი ტურით ადრე სხვაობა ისევ სამი ქულაა.

რაიტ-ფილიპსმა „ვესტ ჰემთან" მატჩში დუბლი შეასრულა — ერთი-მეორეზე უკეთესი გოლები გაიტანა. მათ შორის კი, არანაკლებ ეფექტური იყო კარლოს ტევესის გატანილი, მაგრამ ჩელსურ მანქანას „ჩაქუჩებმა" ვერ გაუძლეს.

„ენით აუწერელი სიამოვნება ვიგრძენი — თქვა რაიტ-ფილიპსმა, რომელსაც ამ სეზონში არ გაეტანა — მადლობელი ვარ ყველასი, ვინც რთულ პერიოდში გვერდში მედგა. როცა ხშირად გათამაშებენ, თავდაჯერებაც გემატება. კვლავ მოვახერხეთ „მანჩესტერთან" სხვაობის შემცირება და ასე უნდა გავაგრძელოთ, რათა ლიდერი წნეხის ქვეშ გვყავდეს. ახლა „ჩელსი" ერთი ოჯახივითაა და ჩვენი სიძლიერეც ამაშია."

ფრენკ ლამპარდმა კი განაცხადა, რომ ფეხბურთელებზე დოპინგივით იმოქმედა სტატიებმა, რომელშიც უკვე მერამდენედ ეწერა აბრამოვიჩისა და მაურინიუს ცუდ ურთიერთობაზე და იურგენ კლინსმანის შესაძლო დანიშვნაზე: „სწორედ ამიტომ დავუდექით ყველანი გვერდში მწვრთნელს. მთელი სეზონია, „ჩელსიზე" წერენ, ჩვენ კი უფრო ვძლიერდებით და ოთხი ჯილდოს მოგების შანსს ისევ ვინარჩუნებთ."

რაიტ-ფილიპსის გოლებს მეორე ტაიმში სალომონ კალუმ მესამე მიამატა, დიდიე დროგბამ კი „ვესტ ჰემის" იმედი საბოლოოდ ჩაკლა.

„ჩაქუჩების" მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ დაიჩივლა, ასე მონდომებით რომ ვეთამაშოთ ჩვენს უშუალო კონკურენტებს, პრემიერლიგიდან არ გავვარდებითო...

„მიდლსბროს" 1976 წლის შემდეგ არ მოუგია „ენფილდზე" და ვერც ამჯერად დაარღვია ტრადიცია. პირველ ტაიმში სტუმრებმა „ლივერპულს" გაუძლეს, მაგრამ მეორეში სტივენ ჯერარდმა იყოჩაღა — ჯერ ლამის 25 მეტრიდან გაუტანა „ბოროს", მერე კი პენალტიც გამოიყენა. რაფაელ ბენიტესის გუნდმა ისევ გადაასწრო „არსენალს" და მესამე ადგილზე ავიდა.

ზედიზედ ორი საშინაო მარცხის შემდეგ „ბლექბერნმა" „უოტფორდს" იოლად სძლია და მეტოქეს თითქმის გაუფორმა ქვედა ლიგის საგზური — სამბამ ნაკუთხურალი ბურთი შეაგდო, ხოლო რობერტსმა მეორე მიაყოლა. სტუმრებმა თავურით უპასუხეს, მაგრამ ბენი მაკკარტიმ ასევე თავურით სხვაობა ორამდე გაზარდა. ეს სამხრეთაფრიკელის მე-20 გოლი იყო ამ სეზონში.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 33 | 26 | 3 | 4 | 77:23 | 81 |
| ჩელსი | 33 | 24 | 6 | 3 | 60:20 | 78 |
| ლივერპული | 34 | 19 | 7 | 8 | 52:22 | 64 |
| არსენალი | 34 | 18 | 8 | 8 | 57:31 | 62 |
| ევერტონი | 34 | 14 | 12 | 8 | 46:30 | 54 |
| ბოლტონი | 34 | 16 | 6 | 12 | 41:42 | 54 |
| პორტსმუთი | 34 | 13 | 10 | 11 | 43:38 | 49 |
| ტოტენჰემი | 33 | 14 | 7 | 12 | 47:48 | 49 |
| რედინგი | 34 | 14 | 6 | 14 | 45:41 | 48 |
| ბლექბერნი | 33 | 13 | 4 | 16 | 41:48 | 43 |
| ასტონ ვილა | 34 | 9 | 15 | 10 | 36:39 | 42 |
| ნიუკასლი | 34 | 11 | 8 | 15 | 37:43 | 41 |
| სიტი | 34 | 11 | 8 | 15 | 27:38 | 41 |
| მიდლსბრო | 34 | 10 | 9 | 15 | 37:44 | 39 |
| უიგანი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:52 | 35 |
| ფულემი | 34 | 7 | 14 | 13 | 34:53 | 35 |
| შეფილდი | 34 | 9 | 7 | 18 | 29:49 | 34 |
| ჩარლტონი | 34 | 8 | 8 | 18 | 30:51 | 32 |
| ვესტ ჰემი | 34 | 8 | 5 | 21 | 27:58 | 29 |
| უოტფორდი | 34 | 4 | 11 | 19 | 25:56 | 23 |

# ჯიმი, ჯიმი, აჯა, აჯა...



AFP

**ფიფას** პრეზიდენტს რა უჭირს, ოთხდღიანი ვიზიტი ინდოეთში თავზე „ოქროს" ტურბანის დახურვით „დახურა".

ასე დააჯილდოვეს ზეპ ბლატერი იმ დაპირებებისთვის, რომლითაც ინდური ფეხბურთის შეფის მოჰამედ ბინ ჰამამის გული მოიგო. ბლატერმა იქაურებს უთხრა, კრიკეტს თავი დაანებეთ და ფეხბურთი ითამაშეთო.

ბინ ჰამამის დახმარებას მთავრობაც შეჰპირდა წელიწადში ერთი მილიონი დოლარით.

ინდური თავსაბურავი ტურბანი კი ფიფას პრეზიდენტს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა აჩუქა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საუბარი ზეზე

**„სანტოსის"** 32 წლის ნახევარმცველმა ზე რობერტომ კარიერა, შესაძლოა, „დორტმუნდში" გააგრძელოს. გერმანული კლუბის პრეზიდენტი რაინჰალდ რაუბალი ფეხბურთელის აგენტს შეხვდა და ტრანსფერზე ესაუბრა.

„ბაიერნის" ყოფილი მოთამაშით „მილანი" და „მარსელიც" დაინტერესდნენ.

## ესპანეთი

### თასის ნახევარფინალი
### პირველი მატჩი

**ბარსელონა 5:2 ხეტაფე**

1:0 ხავი (18), 2:0, 3:0 მესი (28, 45), 3:1 გიზა (58), 3:2 ნაჩო (60), 4:2 გუდიონსენი (63), 5:2 ეტოო (75)

## გერმანია

### თასის ნახევარფინალი

**ვოლფსბურგი 0:1 შტუტგარტი**

0:1 და სილვა (16)

## საფრანგეთი

### 1 დივიზიონი. გადადებული მატჩები

**ბორდო 3:0 ნანსი**

1:0, 2:0 შამახი (18, 43), 3:0 კავენაგი (55)

**ლიონი 0:0 რენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 32 | 21 | 7 | 4 | 55:23 | 70 |
| ტულუზი | 32 | 15 | 7 | 10 | 38:33 | 52 |
| ლანსი | 32 | 13 | 11 | 8 | 43:34 | 50 |
| ბორდო | 32 | 14 | 7 | 11 | 34:30 | 49 |
| სოშო | 32 | 12 | 11 | 9 | 37:37 | 47 |
| მარსელი | 32 | 13 | 7 | 12 | 40:32 | 46 |
| ლილი | 32 | 12 | 10 | 10 | 39:33 | 46 |
| სენტ ეტიენი | 32 | 13 | 6 | 13 | 49:43 | 45 |
| რენი | 32 | 11 | 12 | 9 | 26:24 | 45 |
| ლორიანი | 32 | 11 | 11 | 10 | 28:30 | 44 |
| ლე მანი | 32 | 10 | 13 | 9 | 38:37 | 43 |
| ოსერი | 32 | 10 | 13 | 9 | 34:37 | 43 |
| მონაკო | 32 | 10 | 11 | 11 | 35:31 | 41 |
| ვალანსიენი | 32 | 10 | 8 | 14 | 31:40 | 38 |
| ნანსი | 32 | 9 | 10 | 13 | 26:38 | 37 |
| ნიცა | 32 | 8 | 12 | 12 | 29:33 | 36 |
| პსჟ | 32 | 8 | 11 | 13 | 31:38 | 35 |
| ტრუა | 32 | 7 | 11 | 14 | 29:45 | 32 |
| სედანი | 32 | 6 | 12 | 14 | 38:49 | 30 |
| ნანტი | 32 | 6 | 12 | 14 | 26:39 | 30 |

### თასის ნახევარფინალი

**მარსელი 3:0 ნანტი**

1:0 რიბერი (28), 2:0 მაულიდა (55), 3:0 ჟ. სისე (76)

# კარვალიუს ვერ ელირსებიან

**„ჩელსი"** რიკარდუ კარვალიუსთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს — პორტუგალიელი მცველის ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა ორი წლის შემდეგ იწურება.

„ჩელსის" შეფები შიშობენ, რომ ჟოზე მაურინიუმ წასვლის შემთხვევაში, შესაძლოა, თან წაიყვანოს კარვალიუ, ამიტომაც უნდა კლუბს პორტუგალიელი ფეხბურთელის ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტით „დაბმა", რომლითაც იგი კვირაში 90 ათას გირვანქას მიიღებს.

სწორედ ამდენი აქვთ ჯამაგირი დიდიე დროგბას და მიკაელ ესიენს.

# შარშანდელი საბროსა

**„ლივერპულმა"** დაადასტურა, რომ „ბენფიკადან" სიმაო საბროსას გადაბირება სურს. ინგლისური კლუბის ერთ-ერთი სკაუტი ორშაბათს ლისაბონში „ბენფიკა" — „ბრაგას" მატჩს საბროსას სანახავად დაესწრო.

ჯერ კიდევ შარშან ცდილობდა „ლივერპული" 27 წლის ნახევარმცველის შეძენას და გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. სიმაო ახლა კვლავ კარგ ფორმაშია, „ლივერპული" კი, ისევე, როგორც ერთი წლის წინ, 13 მილიონ გირვანქას ამზადებს მის შესაძენად.

გარდა ამისა, ლივერპულელებს „ვესტ ჰემის" იოსი ბენაიუნიც უნდათ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და ამ ზაფხულს გუნდის გამოცვლას აპირებს.

# ლეონეს ლონდონისკენ ექაჩებიან

**„ჩელსი"** უახლოეს დღეებში ესპანური „მურსიას" ნახევარმცველ პედრო ლეონეს იყიდის — „მარკას" ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს.

ლეონი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა და „მურსიაც" პრიმერადივიზიონში ალზევების კანდიდატია. 20 წლის ფეხბურთელი ესპანელებმა 5 მილიონ ევროდ შეაფასეს. მისმა აგენტმა პაბლო გარსია კოულონმა განაცხადა, რომ გარიგებას დეტალების შეთანხმებაღა აკლია.

# მამლების კაცურანისი

**„ტოტენჰემი"** კოსტას კაცურანისით დაინტერესდა. „ბენფიკას" 27 წლის ბერძენ ნახევარმცველზე პრეტენზიას „ატლეტიკო" და „ვილიარეალიც" აცხადებენ.

„მამლების" სამიზნეზეა ვერდერელი იურიცა ვრანიეშიც, რომელსაც „ევერტონიც" უთვალთვალებს.

# ჩელსის ფანჯარა ჩაუმსხვრიეს

**„ვესტ ჰემის"** ფანებმა „ჩელსისთან" მატჩის წინ სტუმართა ავტობუსს ქვები დაუშინეს.

ბიბისისთან ინტერვიუში ფრენკ ლამპარდმა განაცხადა: „ქვამ შუშა ჩაამტვრია, მაგრამ რას იზამ, ეს ფეხბურთია და ქომაგებიც ემოციებით არიან დატვირთულნი. დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ამ ფაქტს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ფეხბურთელებიდან არავინ დაშავებულა".

# ჯონის ურტყეს

**გამბიელი** მსაჯი ჯონ მენდი „იუნიონ დუალას" ფეხბურთელებმა გატყიპეს. ეს კამერუნული კლუბია, რომელიც აფრიკის კონფედერაციის თასზე ნიგერიულ „კვარა იუნაიტედს" ხვდებოდა. თამაშის ბოლო წუთზე მენდიმ პენალტი დანიშნა დუალელების კარში, კვარელებმა გაიტანეს, მოიგეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. მათ გასვლას კი კინაღამ მსაჯი შეეწირა.

სადისციპლინო კომისიას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, მაგრამ ადრე მსგავსი საქციელისთვის ალჟირული „მულუდიას" მეკარე მერან აბდუნი 18-თვიანი დისკვალიფიკაციით და 20 ათასი დოლარით დასაჯეს.

# იანვარი აპრილში გაახსენდათ

**ერაყის** ფეხბურთის ასოციაციამ ორი თვე იფიქრა და ნაკრების მწვრთნელობიდან აქრამ აჰმედ სალმანი გაათავისუფლა.

ამა წლის იანვარში გუნდი სპარსეთის ყურის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა და ჩაფლავდა, რის გამოც ასოციაციამ მარცხის მიზეზთა გამოძიება დაიწყო. შედეგად, რამდენიმე ფეხბურთელი თაღლითობაშიც ამხილეს და ნაკრებიდან ორი წლით მოკვეთეს, რადგან, როგორც ირკვევა, მათ ერაყული ფეხბურთის შეფებს სანაკრებო ამბებზე ტყუილები უთხრეს.

სალმანის ნაცვლად ალბათ ახალგაზრდული გუნდის თავკაც იაჰია ალვანს დანიშნავენ.

# ანჩელოტის მერეც მოასწრებენ

**„მილანის"** ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მალულად მიანიშნა, რომ შესაძლოა, კარლო ანჩელოტი გაუშვან.

„მილანმა" „ასკოლის" 5:2 მოუგო და მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში კონკურენტ „პალერმოს" ოთხი ქულით გაუსწრო, „შავ-წითელთა" მწვრთნელმა კი კონტრაქტის განახლება მოითხოვა, აქ დარჩენა და მუშაობა მსურსო.

„ვფიქრობ, რომ ანჩელოტი კიდევ დიდხანს დარჩება „მილანში". ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა მას 2008-ის ივნისში ეწურება და არა მგონია, ახლავე საჭირო იყოს მისი გახანგრძლივება, ამას კიდევ მოვასწრებთ" — თქვა გალიანიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**


AFP

# არგენტინელი მესია მსოფლიო ფეხბურთში

## დიეგოს ჰგავს და ჩემი შვილია!

### ციცქნა ლეომ სამშობლო სიხარულში ჩაძირა

**არგენტინას** ეს ჯადო-გოლი პირდაპირ ეთერში არ უნახავს. იქაურმა ტელევიზიებმა „ბარსელონა" — „ხეტაფეს" სათასო მატჩის ჩვენება საჭიროდ არ ჩათვალეს და ლეო მესის გენიალური გოლი პატაგონიელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა იხილა — იმათ, ვისაც სატელიტური ანტენა ჰქონდა. თუმცა გოლიდან რამდენიმე წუთში მთელმა ქვეყანამ იცოდა, რა როგორ მოხდა — ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ფენომენალურ ლეოს ფიესტა მოუწყო.

ეს არგენტინაა, სადაც მითიური დიეგო მარადონას შემდეგ ახალი მეფის გამოჩენას აგერ უკვე რამდენი წელია, მოუთმენლად ელიან. ახალი დიეგოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ არანაირი შეცდომა არ იქნება, რომ ვთქვათ — დღეს მარადონას გენიალურ ფენომენს ყველაზე მეტად ციცქნა ლეო მესი (მეტსახელად რწყილი) მიუახლოვდა.

აღვწეროთ მესის გოლი? საერთოდ, რა უნდა ვთქვათ ამ დიდებულ დრიბლინგზე? ალბათ მხოლოდ ის, რომ პატაგონიაში ლეოს გამანადგურებელი იერიში 1986 წელს დიდი დიეგოს მიერ ინგლისის ნაკრების კარში გატანილ მეორე გოლს შეადარეს. რასაკვირველია, „ხეტაფე" არც ინგლისის ნაკრებია და საერთოდ საფეხბურთო მარაქაში დიდმა ბერნდ შუსტერმა შემოაჯირითა, თუმცა...

ერთხელაც ნახეთ მესის გოლი!

არგენტინას მივუბრუნდეთ. „ბარსა" — „ხეტაფეს" მატჩიდან რამდენიმე საათის შემდეგ იქაურთა ნაკრებს ჩილესთან ამხანაგურ მატჩში უნდა ეთამაშა, მაგრამ მესის ჯადოქრობის შემხედვარე პატაგონიელებს ეროვნული გუნდი საერთოდ არ გახსენებიათ... გაზეთებმა დაწერეს, ხალხს არგენტინის ნაკრების მატჩისადმი ასეთი უყურადღებობა არასოდეს გამოუჩენიაო. ვინძლო ეპატიებათ მარადონას თანამემამულეებს — რა დროს არგენტინა — ჩილეა (0:0 დასრულდა), როცა დიდსაფეხბურთო ჰორიზონტზე ახალი მეფის მზე ამოდის?

„ეს დიეგოს გოლი იყო" — დაწერა პატაგონიურმა „ოლემ".

იმავ გაზეთში წერია: „ახლა, როცა მარადონა ბუენოს აირესის ჰოსპიტალში ავადმყოფობას ებრძვის, არანაირი საჩუქარი არ გაახარებდა ისე, როგორც მესის გოლი. ლეომ, უნდოდა თუ არა, მეფეს სოლცარი საჩუქარი მიართვა, ისევე, როგორც თავის დროზე მარადონამ „აცტეკაზე" ინგლისთან გატანილი გოლით მთელი არგენტინა სიხარულით ცამდე აიყვანა... ასეთ რამეს ყოველდღე ვერ ვიხილავთ და მარადონასა და მესისნაირი ფეხბურთელებიც რჩეულთა უმცირესობას შეადგენენ".

„მესიმ გაუგონარი გოლი გაიტანა" — ამას უკვე „კლარინი" წერს.

„ლეომ ხუთი მეტოქე ხომ მოატყუა, მერე მეკარეც ზედ მიაყოლა და... დიდება მესის!" — აქებს „კლარინი" ჩაუქ არგენტინელს.

„ლეომ ძველი კეთილი დრო გაგვახსენა. დარწმუნებულნი ვართ, თუ რომელიმე არგენტინელს დეპრესია შეაწუხებს, „ხეტაფესთან" მესის გოლს ნახავს და უცებ გამოჯანმრთელდება. ბარსელონელმა თავისი გოლით ინჩასებს არგენტინა — ჩილეს ამხანაგური მატჩი დაავიწყა" — წერს „ლა ნასიონი".

ესპანეთში გადავინაცვლოთ. იმ 53 ათას ბედნიერ რჩეულს შორის, ვინც მესის ჯადოქრობა ცოცხლად, უშუალოდ „კამპ ნოუზე" იხილა, ლეოს მამა ხორხე და ძმა როდრიგოც იყვნენ.

„დიეგოს ჰგავდა, დიეგოსავით გააკეთა" — იმეორებდა სიხარულისგან აკანკალებული ხმით როდრიგო მესი და, როცა ბარსელონელის ძმას, ბოლოს და ბოლოს, ჭკუა-გონება დაუბრუნდა, „ელ მუნდო დეპორტივომ" მისგან ასეთი რამ მოისმინა: „ეს დაუჯერებელია! ლეოს გოლზე სალაპარაკოდ სიტყვები არ მყოფნის. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ მატჩზე არგენტინაში კიდევ მრავალი წელი ილაპარაკებენ".

იღბალი მქვსო, როდრიგომ უნდა თქვას. არგენტინიდან საგანგებოდ ამ თამაშის გამო ბარსელონაში ჩაფრენილმა „კამპ ნოუზე" მისვლა დააგვიანა, თუმც როგორც კი ტრიბუნაზე თავისი ადგილი დაიკავა, მესიმ ჯადოქრული დრიბლინგი წამოიწყო.

„ორი წუთით გვიან რომ მოვსულიყავი, ამ გოლს ვერ ვნახავდი. კიდევ კარგი — ამას ხომ ჩემს თავს ცხოვრებაში არ ვაპატიებდი" — განაცხადა ბედნიერმა როდრიგომ.

„იცით, რა გავაკეთე, როცა ლეომ ის გოლი გაიტანა? წამსვე მობილური ტელეფონი გავთიშე, რათა სიხარულით მარტო დავმტკბარიყავი და ხელი არავის შეეშალა. ეს ჩემი ბიჭია, მან გოლი მარადონას სტილში შეაგდო, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ" — აღნიშნა ხორხე მესიმ.

„კამპ ნოუს" შეხვედრაში კი შვიდი გოლი გავიდა: ხუთჯერ ბარსელონელებმა იხეირეს, ორჯერ — „ხეტაფემ", მაგრამ არც მედიას, არც მწვრთნელებს და არც გულშემატკივრებს მატჩის შემდეგ ლეოზე მეტი სასაუბრო თემა არ ჰქონიათ.

„მესი საოცარი ტალანტია, გამაოგნებელი გოლი შეაგდო. ეს ყველაფერი 1986 წელს მარადონას მიერ ინგლისთან ჩადენილ სასწაულს ჰგავს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლეო ამაზე არ გაჩერდება და სამომავლოდ უფრო მაგრებსაც გაიტანს" — თქვა „ბარსას" თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა.

ჟურნალისტებმა ჰოლანდიელს ჰკითხეს, ახლა ცა და ქვეყანა მესის ახალ მარადონობაზე ლაპარაკს დაიწყებს და ეს თქვენს შეგირდს ზედმეტად ხომ არ დაძაბავსო.

„არანაირად. მე მესის შესანიშნავად ვიცნობ და ვიცი, რომ ქება თავში არ აუვარდება. საერთოდაც, თუ ვინმეს ნიჭი აქვს, არ უნდა დამალოს. საბრალო ის კაცია, ვინც თავის ტალანტს ჩრდილში მალავს... მარადონა დიდი იყო, მაგრამ მისი ეპოქა უკვე დასრულდა, ლეო კი ახალგაზრდაა და ჯერ უამრავი ჯილდო აქვს მოსაგები. ნუ ინერვიულებთ, იგი ქება-დიდების კორიანტელს მშვენივრად აიტანს და ისევ მეტოქეთათვის სასიკვდილო მანქანად დარჩება" — უპასუხა რაიკარდმა.

და ბერნდ შუსტერი? ექსბარსელონელმა ვარსკვლავმა და დიდმა მწვრთნელმა ნახევარფინალურ მატჩამდე ორიოდ დღით ადრე კატალონიურ „სპორტთან" ინტერვიუში განაცხადა: „ბარსა" ტრადიციულად ცდილობს, ბევრი გოლი გაიტანოს და ჩვენი მიზანი იქნება, „კამპ ნოუდან" შედარებით მისაღები შედეგით წამოვიდეთ. თუ რაიკარდის გუნდმა 5 გოლი გაგვიტანა, მადრიდში საპასუხო მატჩს აზრი დაეკარგება".

კოშმარული მატჩის შემდეგ კი დალონებულმა „ბერნარდომ" თქვა, „ბარსას" ზედმეტად ჯენტლმენურად მოვექეცით, ძალისმიერ თამაშზე საერთოდ უარი ვთქვით, ლეო მესის სივრცე ჩავაბარეთ და აბა, რა დაგვემართებოდაო.

„მესის გოლი ბრწყინვალე იყო, ოღონდ იმ ბალეტით, რაც „ხეტაფემ" მეტოქეს შესთავაზა, მსგავსი რამ მოსალოდნელი გახლდათ. რა გაეწყობა, ვეცდებით, მადრიდში მაინც ვითამაშოთ ნორმალურად" — აღნიშნა შუსტერმა.

კატალონიურმა „სპორტმა" კი უმალ გაკენწლა იგი: „მადრიდში შეიძლება „ხეტაფემ" მართლაც ამერიკული ფეხბურთი ითამაშოს, თუმცა ბერნარდოს ბიჭებმა რაც უნდა იჭიდაონ, მესის შებოჭვა მაინც გაუჭირდებათ"...

**ლადო ხომერიკი**

## ლეო მესი: გმადლობთ!

— დიდებული გოლი შეაგდეთ...

— ჰო, მაგრამ მთავარი მაინც გამარჯვებაა.

— და რას ფიქრობდით მაშინ, როცა „ხეტაფეს" კარისკენ მიიწევდით?

— უნდა გამეტანა. საჯარიმოსთან მისული ვფიქრობდი, ეტოოსთან კედელი გამეთამაშებინა, თუმცა საბოლოოდ მაინც გადავწყვიტე, მცველებისთვის თავად მიმეხედა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

— შეიძლება, თქვენი გოლი მარადონას მიერ 1986 წელს ინგლისთან გატანილ ცნობილ გოლს შევადაროთ?

— დიეგო დიეგოა, ის აღარ განმეორდება. მართალია, გოლები ჰგავდნენ ერთმანეთს, თუმცა მარადონას სასწაული საუკუნოდ ემახსოვრებათ, მაშინ, როცა ლეო მესის გატანილი შეიძლება, ხვალ-ზეგ აღარც გაახსენდეთ. მთავარი ის არის, რომ „ბარსამ" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და შეუძლია, საპასუხო მატჩს თავდაჯერებული შეხვდეს.

— ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა რა გითხრეს?

— არავისთან მილაპარაკია, თუმცა დარწმუნებული ვარ, როსარიოში უკვე ყველაფერი დეტალურად იციან და ძალიან უხარიათ. ამ სეზონში ტრავმის გამო ბევრი მატჩი გავაცდინე და ახლა დაკარგულის ანაზღაურებას ვცდილობ.

— თანაგუნდელებმა რა გითხრეს?

— ყველა მილოცავდა. გასახდელში ფიესტა გავმართეთ — ყოველთვის კარგია, როცა იგებ.

— „ხეტაფემ" ორი გოლი მაინც გაიტანა. იყო მომენტი, როცა შეგეშინდათ, რომ მადრიდელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ?

— ვაღიარებ, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდა — შუსტერის გუნდმა 3:0 რამდენიმე წუთში 3:2-ად აქცია და ყველანი შევფიქრიანდით. დიდი ანგარიშით მოგება გვინდოდა, რაც გულშემატკივართა მხარდაჭერით საბოლოოდ მაინც შევძელით.

— ახლა მთელი „კამპ ნოუ" ლეო მესის თაყვანისმცემელია...

— ფანთა სიყვარულს ფეხბურთელი არასდროს ივიწყებს და გამონაკლისი არც მე ვარ. ინჩასებს ყოველთვის ძალიან ვუყვარდი.

— „ხეტაფესთან" შესანიშნავად მოიგეთ, თუმცა კვირას ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონამ" „მალიორკასთან" თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა...

— „მალიორკასთან" მართლაც ცუდად ვითამაშეთ, „ხეტაფესთან" კი გუნდს ამაღლება დაეტყო.

— ასეთი გოლის შემდეგ აღფრთოვანებული ხართ?

— არანაირად. მსგავსი რამ ნაკლებად მახასიათებს.

— ალბათ სწორედ ის დროა, მარადონა გავიხსენოთ, რომელიც ახლა ჰოსპიტალშია...

— დიეგო ყოველთვის მეხმარებოდა და მას მხოლოდ ჯანმრთელობა და ყოველივე კარგი მინდა ვუსურვო. ამ გოლს სწორედ მარადონას ვუძღვნი!

# გა-დინება არსენალიდან ...და ისევ ამერიკელი



დევიდ დინი

ლონდონის „არსენალის" საქმე ისეა, რომ სურს თუ არა, უნდა გაიყიდოს — დევიდ დინი, რომელიც „მეთოფეთა" თავმჯდომარეობას 24 წლის განმავლობაში სწევდა, კლუბის მეწილეებთან კონფლიქტის შედეგად გადადგა, ხოლო უპატრონო ინგლისურ კლუბებს, მოგეხსენებათ, ამერიკელები ეპატრონებიან. ამერიკელი, რომელიც „არსენალში" 650 მილიონ გირვანქას იხდის, გახლავთ მავანი სტენ კროენკი, რომელზეც ამბობენ, რომ მისი მოსვლის შემთხვევაში ლონდონში არსენ ვენგერის და ტიერი ანრის ეპოქა დასრულდება.

ამწუთას მისტერ კროენკი კლუბის 11 პროცენტის მფლობელია და დინის 14,6 პროცენტსაც ყიდულობს, რაც გადამწყვეტ ზღვართან, 30 პროცენტთან აახლოვებს. 30 პროცენტიდან კი ყველაფრის ყიდვამდე ალარაფერიაო, ამბობენ მცოდნე ადამიანები. ეს რას ნიშნავს, ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ვაი არსენ ვენგერს, რომელსაც უთქვამს, კლუბი უცხოელს არაფრის დიდებით არ უნდა მივყიდოთო.

მიმომხილველები ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ „არსენალთან" ვენგერის კონტრაქტს ვადა გაისად გასდის და თუ ფრანგმა ახლა არ დადო ახალი ხელშეკრულება, შეიძლება, დიდი გაუგებრობა დაიწყოს.

ისე, ქომაგები „მეთოფეთა" ოფისიდან წუხელ გავრცელებულმა განცხადებამ, შესაძლოა, დააწყნარა ცოტათი: „კლუბის დანარჩენი მეწილეები, რომელთა ხელშიც აქციათა 45,45 პროცენტია თავმოყრილი (ცოტაც, ეტყობა, წვრილ-წვრილ აქციონერებს ეკუთვნით), „არსენალის" ქომაგებს ჰპირდებიან, რომ თავიანთი აქციების გაყიდვას არ აპირებენ და კლუბთან ხანგრძლივ თანამშრომლობას გეგმავენ".

თუმცა ამერიკელმა კროენკმა სრულიად შესაძლებელია თავისი ღონიერი ფინანსური კუნთები აათამაშოს. ზემოთ მცოდნე ხალხი ვახსენეთ, მათ კი კარგად მოეხსენებათ, რომ თუ კოლორადოელი მილიარდერი დინის აქციებს შეიმატებს, 30-მდე 4,4 პროცენტი დარჩება, რისი შოვნაც მისი ფულის პატრონს ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს და როდესაც გაოცდაათდება, უკვე მთელი კლუბის ყიდვაზე შეიტანს განაცხადს — ასეთი ყოფილა წესი და რიგი.

ამბობენ, კროენკმა აპრილის პირველ რიცხვებში „არსენალის" 9,9 პროცენტში ITV-ს 65 მილიონი გირვანქა გადაუხადა და ამით კლუბის მთლიანი ფასი 650 მილიონი გახადაო.

მოკლედ, ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე დინი ამდგარა და კაბინეტიდან წასულა — იძულებული შეიქნაო.

**ბაბუნა ძიძია**

# პასუხი 100 მილიონს: რონალდინიო 2014

„დიარიოსპორტი" ამტკიცებს, რომ სეზონის ბოლოს რონალდინიო „ბარსელონასთან" კონტრაქტს 2014 წლამდე გააგრძელებს.

არადა, ორი დღის წინ „მილანის" პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, ბრაზილიელის შესაძენად 100 მილიონი ევრო გადავდეო.

| 13250 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13251 | ლევანტე-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13252 | მალიორკა-ტარაგონა | 1.70 | 1.90 |
| 13253 | სარაგოსა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13255 | სევილია-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 13257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13273 | ოსერი-ლიონი | 1.90 | 1.70 |
| 13275 | ლანსი-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13276 | მარსელი-ტრუა | 2.00 | 1.60 |
| 13277 | მონაკო-ლილი | 2.00 | 1.60 |
| 13278 | ნანსი-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |
| 13279 | პსჟ-ნანტი | 1.90 | 1.70 |
| 13281 | რენი-ტულუზი | 1.90 | 1.70 |
| 13282 | სტ.ეტიენი-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 13283 | სედანი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13284 | სოშო-ლორიანი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14010 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.90 | 1.90 |
| 14011 | უოტფორდი-სიტი | 1.90 | 1.90 |
| 14012 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 14013 | ბოლტონი-რედინგი | 1.70 | 2.20 |
| 14014 | ჩარლტონი-შეფილდი | 1.75 | 2.10 |
| 14015 | ფულემი-ბლეკბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14016 | ლივერპული-უიგანი | 1.20 | 2.60 |
| 14018 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.03 | 2.90 |
| 14019 | ნიუკასლი-ჩელსი | 2.50 | 1.30 |
| 14020 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.80 | 2.00 |
| 14075 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 1.70 | 2.20 |
| 14076 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 14077 | ინვერნესი-მოზერუელი | 1.75 | 2.10 |
| 14078 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.30 | 2.50 |
| 14080 | კილმარნოკი-სელტიკი | 2.50 | 1.30 |
| 14082 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.80 | 2.00 |
| 14098 | ვერდერი-ალემანია | 1.08 | 2.90 |
| 14100 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.70 | 2.20 |
| 14102 | აინტრახტი-ბოხუმი | 1.75 | 2.10 |
| 14103 | ჰერტა-დორტმუნდი | 1.75 | 2.10 |
| 14104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.75 | 2.10 |
| 14105 | შალკე-კოტბუსი | 1.20 | 2.60 |
| 14107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 1.95 | 1.85 |
| 14108 | ჰამბურგი-მაინცი | 1.45 | 2.40 |
| 14109 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.65 | 2.30 |
| 14195 | ატალანტა-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14197 | კატანია-ასკოლი | 1.30 | 2.50 |
| 14198 | კიევო-ლივორნო | 1.65 | 2.30 |
| 14199 | ემპოლი-ტორინო | 1.65 | 2.30 |
| 14200 | ლაციო-ფიორენტინა | 1.80 | 2.00 |
| 14201 | მილანი-კალიარი | 1.03 | 2.90 |
| 14202 | პალერმო-პარმა | 1.45 | 2.40 |
| 14203 | რეჯინა-უდინეზე | 1.75 | 2.10 |
| 14204 | სამპდორია-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14205 | სიენა-ინტერი | 2.65 | 1.20 |
| 14246 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2.00 | 1.80 |
| 14247 | რეალი-ვალენსია | 1.70 | 2.20 |
| 14248 | უელვა-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14249 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.75 | 2.10 |
| 14250 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.75 | 2.10 |
| 14251 | ლევანტე-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14252 | მალიორკა-ტარაგონა | 1.45 | 2.40 |
| 14253 | სარაგოსა-სელტა | 1.45 | 2.40 |
| 14255 | სევილია-ბილბაო | 1.30 | 2.50 |
| 14257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2.20 | 1.70 |
| 14273 | ოსერი-ლიონი | 2.10 | 1.75 |
| 14275 | ლანსი-ლე მანი | 1.45 | 2.40 |
| 14276 | მარსელი-ტრუა | 1.30 | 2.50 |
| 14277 | მონაკო-ლილი | 1.80 | 2.00 |
| 14278 | ნანსი-ვალენსიენი | 1.80 | 2.00 |
| 14279 | პსჟ-ნანტი | 1.65 | 2.30 |
| 14281 | რენი-ტულუზი | 1.80 | 2.00 |
| 14282 | სტ.ეტიენი-ბორდო | 1.80 | 2.00 |
| 14283 | სედანი-ნიცა | 1.80 | 2.00 |
| 14284 | სოშო-ლორიანი | 1.65 | 2.30 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15010 | ტოტენჰემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | უოტფორდი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ბოლტონი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ჩარლტონი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ფულემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ლივერპული-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ინვერნესი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | რეინჯერსი-პართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | კილმარნოკი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ვერდერი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ვოლფსბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | აინტრახტი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ჰერტა-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | შალკე-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | ჰამბურგი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | ატალანტა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | კატანია-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | კიევო-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | ემპოლი-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ლაციო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | პალერმო-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | რეჯინა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | სამპდორია-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15246 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | რეალი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | უელვა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | ესპანიოლი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | დეპორტივო-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | ლევანტე-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | მალიორკა-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15253 | სარაგოსა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | სევილია-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15273 | ოსერი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | ლანსი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | მარსელი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | მონაკო-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | ნანსი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | პსჟ-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | რენი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | სტ-ეტიენი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | სედანი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | სოშო-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16010 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.82 | 1.82 |
| 16011 | უოტფორდი-სიტი | 1.80 | 1.80 |
| 16012 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.65 | 2.00 |
| 16013 | ბოლტონი-რედინგი | 1.40 | 2.50 |
| 16014 | ჩარლტონი-შეფილდი | 1.50 | 2.20 |
| 16015 | ფულემი-ბლექბერნი | 1.50 | 2.20 |
| 16016 | ლივერპული-უიგანი | 1.07 | 5.80 |
| 16018 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.00 | 6.70 |
| 16019 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.80 | 1.20 |
| 16020 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.62 | 2.05 |
| 16075 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 1.40 | 2.50 |
| 16076 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 1.80 | 1.85 |
| 16077 | ინვერნესი-მოზერუელი | 1.52 | 2.20 |
| 16078 | რეინჯერსი-პართსი | 1.22 | 3.30 |
| 16080 | კილმარნოკი-სელტიკი | 4.50 | 1.15 |
| 16082 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.55 | 2.20 |
| 16098 | ვერდერი-ალემანია | 1.09 | 5.00 |
| 16100 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.42 | 2.40 |
| 16102 | აინტრახტი-ბოხუმი | 1.46 | 2.30 |
| 16103 | ჰერტა-დორტმუნდი | 1.50 | 2.20 |
| 16104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.46 | 2.30 |
| 16105 | შალკე-კოტბუსი | 1.11 | 5.50 |
| 16107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 16108 | ჰამბურგი-მაინცი | 1.28 | 3.00 |
| 16109 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.35 | 2.60 |
| 16195 | ატალანტა-რომა | 2.50 | 1.37 |
| 16197 | კატანია-ასკოლი | 1.22 | 3.30 |
| 16198 | კიევო-ლივორნო | 1.35 | 2.60 |
| 16199 | ემპოლი-ტორინო | 1.37 | 2.50 |
| 16200 | ლაციო-ფიორენტინა | 1.62 | 2.05 |
| 16202 | პალერმო-პარმა | 1.30 | 2.90 |
| 16203 | რეჯინა-უდინეზე | 1.46 | 2.30 |
| 16204 | სამპდორია-მესინა | 1.22 | 3.30 |
| 16246 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2.00 | 1.60 |
| 16247 | რეალი-ვალენსია | 1.45 | 2.35 |
| 16248 | უელვა-რასინგი | 1.63 | 2.05 |
| 16249 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.52 | 2.20 |
| 16250 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.50 | 2.20 |
| 16251 | ლევანტე-ხეტაფე | 1.55 | 2.20 |
| 16252 | მალიორკა-ტარაგონა | 1.28 | 3.00 |
| 16253 | სარაგოსა-სელტა | 1.25 | 3.20 |
| 16255 | სევილია-ბილბაო | 1.16 | 4.40 |
| 16257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2.50 | 1.37 |
| 16273 | ოსერი-ლიონი | 2.35 | 1.45 |
| 16275 | ლანსი-ლე მანი | 1.30 | 2.90 |
| 16276 | მარსელი-ტრუა | 1.16 | 4.40 |
| 16277 | მონაკო-ლილი | 1.60 | 2.10 |
| 16278 | ნანსი-ვალენსიენი | 1.55 | 2.20 |
| 16279 | პსჟ-ნანტი | 1.35 | 2.60 |
| 16281 | რენი-ტულუზი | 1.63 | 2.05 |
| 16282 | სტ-ეტიენი-ბორდო | 1.62 | 2.05 |
| 16283 | სედანი-ნიცა | 1.62 | 2.05 |
| 16284 | სოშო-ლორიანი | 1.37 | 2.50 |

## გოლი: ლუწი-1 ან კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17010 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | უოტფორდი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ბოლტონი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ჩარლტონი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ფულემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ლივერპული-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ინვერნესი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | რეინჯერსი-პართსი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | კილმარნოკი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ვერდერი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17102 | აინტრახტი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ჰერტა-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | შალკე-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ჰამბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ატალანტა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17197 | კატანია-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | კიევო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ემპოლი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ლაციო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17201 | მილანი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | პალერმო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17203 | რეჯინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17204 | სამპდორია-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17205 | სიენა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17247 | რეალი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17248 | უელვა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ლევანტე-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17252 | მალიორკა-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17253 | სარაგოსა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17255 | სევილია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ვილიარეალი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ოსერი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | ლანსი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | მარსელი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17277 | მონაკო-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | ნანსი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17279 | პსჟ-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17281 | რენი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | სტ-ეტიენი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17283 | სედანი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17284 | სოშო-ლორიანი | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

## ევროპის ჩემპიონატი
სოფია, ბულგარეთი. 17-22 აპრილი

# დაკარგული ბრინჯაო

**ბულგარულ** ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ბერძენ-რომაელებმა იჭიდავეს და საქმე სანახევროდაც მოამთავრეს. შვიდი წონიდან ოთხში უკვე ჩემპიონ-პრიზიორები ცნობილია და, სამწუხაროდ, მათ შორის ერთი ჩვენებურიც კი არაა. 66 კილოგრამში მოჭიდავე მუხრან მაჭუტაძემ ბრინჯაოს მედალი გადამწყვეტ ბრძოლაში დაკარგა. ირაკლი ჭოჭუა (55კგ) და ბადრი ხასაია (84კგ) ნახევარფინალამდე შეაჩერეს. რევაზ ჭელიძე (+120კგ) კი, როგორც წინასწარ იყო ცნობილი, მხოლოდ ფორმალურად დაფიქსირდა ტურნირში.

მაჭუტაძემ სოფიური გამოსვლა შვედი რობერტ როსენგრენის ძლევით დაიწყო. მეორე წრეში მას ფინელი იუნა ჰილტუნენი მიაყოლა, მესამეში — ლიტველი ედგარას ვენსკაიტისი. ფინალში გადასვლელ შეხვედრაში ქართველი ტიტულეხვმა უკრაინელმა ოლექსანდრ ხვოშმა შეაჩერა და რეპეშაჟის ფინალში გადაუშვა. ბრინჯაოს ბრძოლა კი მაჭუტაძემ გერმანელ მარკუს ტატრერთან დათმო.

ირაკლი ჭოჭუასაც უკრაინელმა გადაუღობა ოქროს გზა. უიუგარ რაგიმოვმა ჩვენებურს მეოთხედფინალში აჯობა და ისღა დაგვრჩენოდა, ნახევარფინალში მისთვის გვეგულშემატკივრა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. უკრაინელზე ყოჩაღი რუსი ზაურ კურამაგომედოვი გამოდგა და ჭოჭუა რეპეშაჟს მიღმა დარჩა. მეოთხედფინალამდე კი ირაკლიმ თურქი ჰუსეინ აიგუნი და გერმანელი მოჭიდავე სერგეი სკრიპკა ჩამოიცილა.

ბადრი ხასაიას მხოლოდ ორჯერ მოუხდა ხალიჩაზე გასვლა. სომეხი დენის ფოროვის ძლევის შემდეგ თურქ ავლუჩა ნაზმისთან წააგო და რახან ამ უკანასკნელმაც მალევე წაიფორხილა, ბრინჯაოს შანსიც დაიკარგა.

კლასიკურ ორდღიურს 60, 74 და 96-კილოგრამიანი მოჭიდავეები დაასრულებენ. ბევი დარჩიას სადღეისო სამეული ისეთია, სამივე წონაში ოქროზე შეიძლება ფიქრი — ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი პრიზიორები დავით ბედინაძე და მანუჩარ კვირკველია და ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი რამაზ ნოზაძე.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### ბერძნულ-რომაული
### კაცები

**55 კგ**

1. რომვან ბაირამოვი (აზერბაიჯანი); 2. ზაურ კურამაგომედოვი (რუსეთი); 3. უიუგარ რაგიმოვი (უკრაინა); 3. კრისტიან ფრისი (სერბეთი)

**66 კგ**

1. ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი); 2. ოლექსანდრ ხვოში (უკრაინა); 3. მარკუს ტატნერი (გერმანია); 3. რეფიკ აივაზოღლუ (თურქეთი)

**84 კგ**

1. ალექსეი მიშინი (რუსეთი); 2. იან ფიშერი (გერმანია); 3. ანდრეა მინგუზი (იტალია); 3. მელონინ ნუმონვი (საფრანგეთი)

**120 კგ**

1. ხასან ბაროევი (რუსეთი); 2. დავიდ ვალა (ჩეხეთი); 3. ალმარ სიობერგი (შვედეთი); 3. ისმაილ გიუზელი (თურქეთი)

### თავისუფალი
### ქალები

**48 კგ**

1. ლარისა ორუპკა (რუსეთი); 2. ფრანსინ დე პაოლა (იტალია); 3. სოფია მატსონი (შვედეთი); 3. ბრიგიტ ვაგნერი (გერმანია)

**55 კგ**

1. ნატალია გოლცი (რუსეთი); 2. ნატალია სინიშინი (უკრაინა); 3. ემეშე საბო (უნგრეთი); 3. ანა გომისი (საფრანგეთი)

**63 კგ**

1. შტეფანი შტუბერი (გერმანია); 2. ალიონა კარტაშოვა (რუსეთი); 3. მონიკა როგიენი (პოლონეთი); 3 ანა ვასილენკო (უკრაინა)

**72 კგ**

1. სტანკა ზლატევა (ბულგარეთი); 2. სვეტლანა საიენკო (უკრაინა); 3. გიუზელ მანიუროვა (რუსეთი); 3. ანიტა ვეჩეკი (პოლონეთი)

ხელბურთი

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
## კაცები. მესამე წრე

19 აპრილი

**სსსსუ-მამული 16:34 ხკ თბილისი**

სსსსუ-მამული: ხონელიძე, შონია (გაიტანა 6 გოლი), მამაცაშვილი (4), გველესიანი (3), კიზირია (2), გელაშვილი (1), დორეული, ბესტავაშვილი

ხკ თბილისი: სეთურიძე, წივწივაძე (13), ქუთათელაძე (8), გელაშვილი (4), ქირია (3), ოსიყმაშვილი (3), ნატროშვილი (2), ფორაქიშვილი (1)

მსაჯები: ინა ქეუსელი, ნინო ელოშვილი

დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

# ხვალ თელავში პრემიერაა

**გუშინ** მესამე წრის მორიგი ორი მატჩი უნდა შემდგარიყო, მაგრამ ერთი სახვალიოდ გადაიდო, რადგან შეჯიბრებას მხოლოდ სამი მსაჯი ემსახურება, თამაში კი თელავშია დანიშნული.

ის ამბავი, რომ ის სამნიც ქალები არიან და საქართველოს ჩემპიონატისთვის ერთი კაცი არბიტრიც აღარ მოგვეძევება, ჩვენი ხელბურთის გაჭირვება კი არა, უბედურებაა.

„ხელბურთის კლუბ თბილისთან" შეხვედრაში მასპინძლად „სსსსუ-მამული" ითვლებოდა, თუმც თამაში პირველის მოედანზე, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდა, რადგან სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მოედანი სტანდარტულზე პატარაა.

ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტისა და უქულო აუტსაიდერის შეხვედრაზე ცხადია, ბევრი არაფერია სათქმელი — მამულელები თანაბრად მხოლოდ ნახევარი ტაიმი გაუძალიანდნენ მოწინააღმდეგეს. „თბილისის" სწრაფმა და ჯანიანმა ფორვარდმა გიორგი წივწივაძემ 13 გოლი გაიტანა, 113 დაუგროვდა და უფრო გაზარდა მეორე ადგილზე მდგომ რამაზ შონიასთან (86) სხვაობა.

როგორც იქნა, საბოლოოდ ოფიციალურად გაფორმდა „სტუ-შევარდენისა" და „თელავის" შერწყმის გაჭიანურებული საკითხი. ახალ გუნდს „სტუ-შევარდენი-თელავი" დაერქვა და პირველ თამაშს ხვალ თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტსკოლის დარბაზში გამართავს ბრინჯაოს მედლებისთვის მებრძოლ „ქარიშხალასთან".

**გია ახალაძე**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხკ თბილისი | 10 | 1 | 1 | +130 | 21 |
| სტუ-შევარდენი | 9 | 1 | 1 | +110 | 19 |
| ქარიშხალა | 4 | 1 | 6 | -16 | 9 |
| იმედი | 4 | 1 | 7 | -64 | 9 |
| სსსსუ-მამული | 0 | 0 | 12 | -160 | 0 |



# საჰიბ ელიზბარ, მასწავლე თამაში

## ინდოთ ჭადრაკის ქართველ გურუს ერთხელ ღრუბლებშიც გაუცურავს

**ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა ჩვიდმეტი წელია, ესპანეთში ცხოვრობს. წარმატებულმა მოჭადრაკემ უფრო მეტი საერთაშორისო აღიარება მწვრთნელის რანგში მოიპოვა — წვრთნიდა ნონა გაფრინდაშვილს, ნანა იოსელიანს, ანატოლი კარპოვს, ვიშვანათან ანანდს... მასთან დაკავშირება იოლი არ ყოფილა, მაგრამ ბოლოს ეს მოხერხდა და ბატონმა ელიზბარმა წარსულიც გაიხსენა და დღევანდელობაზეც გვიამბო**

**— ვიცი, რომ ბავშვობაში მუსიკით იყავით გატაცებული და კარგ მომავალსაც გიწინასწარმეტყველებდნენ. როგორ აღმოჩნდით ჭადრაკში?**

— ჭადრაკის თამაში მამამ მასწავლა და იმ დღიდან ამ თამაშის გარეშე ვეღარ ვძლებდი. მიუხედავად ამისა, მშობლებმა მუსიკალურ სკოლაში შემიყვანეს. მასწავლებლებს იმედი ჰქონდათ, რომ ჩემგან კარგი მუსიკოსი დადგებოდა, მაგრამ მე ჭადრაკი მაბოდებდა. ბოლოს მამას ვთხოვე და ოცნება ახდა — 1960 წელს, 10 წლისამ საჭადრაკო სკოლაში დავიწყე მეცადინეობა. სკოლის დირექტორი ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ვიქტორ გოგლიძე იყო, ხოლო ჩემი პირველი მწვრთნელი — პავლე ხიზანიშვილი.

მოჭადრაკის რანგში ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები 1970 და 1975 წლებში მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობა იყო. 1970 წლის პირველობაში კონკურსგარეშე თვით მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი მონაწილეობდა, რომელმაც მხოლოდ ნახევარი ქულით გვაჯობა მე, ბუხუტი გურგენიძესა და რომან ჯინჯიხაშვილს. კარგად მახსენდება 1989 წლის ჩეხეთის ტურნირიც, როდესაც მეორედ შევასრულე დიდოსტატის ნორმა.

**— გამიგია, რომ ჭაბუკობისას თვით მიხეილ ბოტვინიკს მოუგეთ...**

— ეს 1963 წელს მოხდა. ბოტვინიკი თბილისში სტუმრობდა და ჩვენს სკოლაში 25 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსის ჩასატარებლად მოიწვიეს. მე მაშინ მეორე თანრიგი მქონდა, ბოტვინიკთან კი მხოლოდ პირველთანრიგოსნებს უნდა ეთამაშათ. ჩემმა მწვრთნელმა მაინც მოახერხა და მსოფლიოს ჩემპიონის პირისპირ აღმოვჩნდი. პარტიის დებიუტიც კი მახსოვს — ლაზიერის გამბიტი ვითამაშეთ და გადამწყვეტი უპირატესობა ბოლოსკენ მოვიპოვე.

სეანსი დიდხანს გაგრძელდა და სახლში გვიან დავბრუნდი. მშობლები აღელვებულები იყვნენ და არ დამიჯერეს, რომ ბოტვინიკს ვეთამაშე და მოვუგე. მხოლოდ მეორე დილით, გაზეთებში რომ წაიკითხეს ჩემი გამარჯვების ამბავი, მაშინღა დაიჯერეს. ბოტვინიკთან ამ შეხვედრას ჩემი საჭადრაკო კარიერის ათვლის წერტილად მივიჩნევ. თუ აქამდე ეს თამაში უბრალოდ მიყვარდა, მას შემდეგ ჭადრაკი ჩემი ცხოვრება გახდა.

**— თქვენ იყავით ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ნანა იოსელიანის მწვრთნელი. როგორი იყო მათთან მუშაობა და რას ფიქრობთ, რატომ ვეღარ თამაშობენ ქართველი მოჭადრაკე ქალები საერთაშორისო ასპარეზზე ძველებური წარმატებით?**

— ჩემი სამწვრთნელო კარიერა უნიჭიერეს მოჭადრაკესთან, ნანა იოსელიანთან თანამშრომლობით დაიწყო. ის 13 წლისა მოვიდა ჩემთან და ძალიან მალე დიდ შედეგებს მიაღწია. სამწუხაროდ, ნანა მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა. შემდეგ მრავალი წელი ვმუშაობდი ნონა გაფრინდაშვილთან. მათთან მუშაობა ძნელი არ იყო, მაგრამ იმ პასუხისმგებლობის ზიდვა, რომელიც მწვრთნელის მხრებს აწვება, ხანდახან არცთუ მეიოლებოდა.

მსოფლიოს კიდევ ერთი ვიცე-ჩემპიონის, ნანა ალექსანდრიას მწვრთნელი არ ვყოფილვარ, თუმცა ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობთ და დღემდე მეგობრებად ვრჩებით. ნანასთვის მე უფრო სპარინგ-პარტნიორი ვიყავი.

რაც შეეხება ქართველ მოჭადრაკე ქალთა ახალ თაობას, მათ შორის არიან ძალიან ნიჭიერები, მაგრამ თანამედროვე ჭადრაკში მუშაობის მეთოდები შეიცვალა. კომპიუტერის და თანამედროვე საჭადრაკო თეორიის ღრმა ცოდნა უმთავრეს ფაქტორად იქცა. ამიტომაც დიდი წარმატებების მისაღწევად დიდი შრომაცაა საჭირო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური და მორალური მხარდაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია მაღალი მიზნებისთის ბრძოლა.

**— მსოფლიოს მე-12 ჩემპიონის, ანატოლი კარპოვის სეკუნდანტიც იყავით...**

— ის რამდენიმე წელი, რომელიც კარპოვის გარემოცვაში გავატარე, ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასარგებლო გამოდგა. კარპოვთან მუშაობა ძალზე სასიამოვნო იყო წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისით. პოზიციის მისეული ნატიფი აღქმა და უდიდესი გამოცდილება სეკუნდანტებს საქმიანობას გვიადვილებდა. ჩემთვის განსაკუთრებით სამახსოვროა კარპოვისა და გარი კასპაროვის 1987 წლის სევილიური მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. ეს იყო უკიდურესად დაძაბული მატჩი და სწორედ მაშინ შევიცანი მოჭადრაკის უმაღლეს დონეზე წვრთნისა და მომზადების მრავალი საიდუმლო.

**— დიდი ხანი მუშაობდით ცნობილ ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდთან. თქვენი თანამშრომლობის პერიოდში ის ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა...**

— ანანდთან 1994 წლიდან ვმუშაობდი. ეს იყო დიდი წარმატებების წლები როგორც მის კარიერაში, ისე ჩემს სამწვრთნელო ბიოგრაფიაში. ჩვენი თანამშრომლობის დაწყება ჭადრაკში უახლესი სადებიუტო იდეებისა და სქემების შესასწავლად და დასამუშავებლად კომპიუტერული ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდას დაემთხვა. ანანდი არის ამ საქმის ერთ-ერთი ლიდერი, რამაც პირადად მეც შემიწყო ხელი, ამეთვისებინა ეს ტექნიკა და მნიშვნელოვნად გამეუმჯობესებინა ჩემი მუშაობის ხარისხი.

მშვენივრად მახსოვს ის განცდა, რომელიც დამეუფლა 2000 წელს თეირანში, როდესაც ანანდი ჩემპიონი გახდა — მეჩვენებოდა, რომ ღრუბლებში დავცურავდი.

თუმცა ადამიანის ცხოვრება სხვადასხვა ეტაპებისგან შედგება. ამჟამად ჩემი საქმიანობა ძირითადად ახალგაზრდა ტალანტების წარმოჩენისკენაა მიმართული, რადგან ის გამოცდილება და ცოდნა, რომელიც დავაგროვე, ახალი თაობის სწორი აღზრდისთვის ძალიან საჭირო და სარგებლიანია.

**— 17 წელია, ესპანეთში ცხოვრობთ. როგორ აღმოჩნდით ამ ქვეყანაში და რას საქმიანობთ ახლა?**

— როგორც გითხარით, 1987 წელს სევილიური მატჩისას კარპოვის სეკუნდანტი ვიყავი. ამან დააინტერესა ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციის ჭადრაკის ფედერაცია და 1990 წელს მწვრთნელად მიმიწვიეს. შემდეგ იყო სხვა წინადადებებიც, მთავაზობდნენ როგორც მწვრთნელობას, ასევე საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას. ასე ჩავერთე ესპანეთის საჭადრაკო ცხოვრებაში. ჩემი ოჯახი ესპანეთში 1993 წელს გადმოვიდა. მაშინდელი საქართველოს სიდუხჭირე ყველას კარგად გვახსოვს. თავიდან ოვიედოში დავსახლდით, 1994 წლიდან კი მადრიდის მახლობლად ვცხოვრობთ.

ეს რთული წლები იყო, განსაკუთრებით ჩემი შვილებისთვის — ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში მოხდა, პატარა რევოლუციასავით იყო. თუმცა ამ წლებმა ჩვენ გაგვამდიდრა ახალი კულტურის შეცნობით, გაგვიფართოვა აზროვნების თვალსაწიერი...

ბოლო წლებში ვმუშაობ საჭადრაკო ჟურნალ „Poen De Rey“ დირექტორის მოადგილედ, მაგრამ ჩემი ძირითადი სამსახური მაინც მწვრთნელობაა. როგორც ჩანს, ვიშვანათან ანანდთან მუშაობის მრავალმა წელმა ინდოეთში ძალიან ცნობილ პერსონად მაქცია და ახლა თითქმის ყველა წამყვან ინდოელ მოჭადრაკესა და ნიჭიერ ახალგაზრდას ჩემთან მუშაობა სურს. ამის გამო, როგორც აქტიურ მოჭადრაკეს, ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ პერიოდულად სხვადასხვა ტურნირებში მაინც ვმონაწილეობ.

**— მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს მოქალაქედ რჩებით. ხომ არ აპირებთ ესპანეთის მოქალაქეობის მიღებას?**

— ჩვენ ძალზე გვენატრება საქართველო და მანდ მყოფი ნათესავები და მეგობრები, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამდენი წლის ცხოვრებისა და საქმიანობის შემდეგ ესპანეთი ჩვენთვის ასევე მშობლიური გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები ვართ, ჩვენს მდგომარეობაში სჯობს, ორმაგი მოქალაქეობა გვქონდეს. ეს განსაკუთრებით შვილებისთვისაა მნიშვნელოვან, როგორც სწავლისას, ისე მუშაობისას. სამსახურში მიღებისას ესპანეთის მოქალაქეს უცხოელთან შედარებით ყოველთვის უპირატესობა ენიჭება. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც გავიგეთ, რომ საქართველოს ახლანდელი მთავრობა თავის მოქალაქეებს ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას აძლევს.

**— თქვენი შვილი საბა ფეხბურთს თამაშობს და საკმაოდ კარგადაც. გული ხომ არ გწყდებათ, რომ თქვენს კვალს არ გაჰყვა?**

— გული ნამდვილად არ მწყდება, რადგან საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელია.

**— რით არის დაკავებული თქვენი მეუღლე ნანა ჯიბლაძე. ის ხომ ადრე მოციგურავე იყო...**

— ნანა ბავშვობაში მართლაც დადიოდა ფიგურულ ციგურაობაზე. ესპანეთში ამის გაკეთება ადვილი არ არის, რადგან ამ ქვეყანაში სპორტის ეს სახეობა მხოლოდ ახლა ვითარდება. ნანა რამდენიმე წელი მადრიდის ერთ-ერთ საციგურაო კლუბში მუშაობდა მწვრთნელად. ახლა ის თავის სპორტულ კლუბს აყალიბებს იმ მოყვარულთათვის, რომლებმაც ოც წელს გადააბიჯეს. მისი ოცნება დამწყებ მოციგურავეებთან მუშაობა და ჩემპიონების აღზრდაა, მაგრამ ამისთვის ესპანეთში ლიცენზირებული პედაგოგი უნდა იყო. ამის მიღწევა კი ძალიან ძნელი საქმეა.

**— და ბოლოს: რაიმე სახალისო ეპიზოდი თქვენი მრავალწლიანი საქმიანობიდან...**

— გასახსენებული ბევრია, მაგრამ ერთს გამოვარჩევდი — მაშინ კარპოვის სეკუნდანტი ვიყავი და კასპაროვთან რომელიღაც მატჩის წინ ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთ ვარიანტს ვამუშავებდით. იმდენად ამ დაცვას თეთრი ფიგურებით მუდმივად ვთამაშობდი. მე გავუზიარე კარპოვს ჩემი კონცეფცია ამ დებიუტის სხვადასხვა, ჯერ კიდევ უცნობი მიმართულებების თაობაზე და ვურჩიე, ეცადა ეს ვარიანტი თეთრებით. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ამ მატჩის პირველივე პარტიაში სწორედ ეს ვარიანტი თეთრებისთვის კასპაროვმა გამოიყენა, რითაც დებიუტში უპირატესობა მოიპოვა.

კასპაროვმა ამ ვარიანტს არც შემდეგ პარტიებში უღალატა, თუმცა კარპოვმა ბოლოს და ბოლოს შეძლო ამ დებიუტის განეიტრალება.



**თენგიზ ბაჭკორია**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# საფრანგეთისკენ


ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების ავ-კარგი სხვებზე უკეთ ალბათ გუნდის კაპიტანს ილია ზედგინიძეს მოეხსენება, ვინც „ლელოებს" წინა მსოფლიოს თასზეც ყოჩობდა და წლეულს, შემოდგომაზე გასამართ თასზეც უკაპიტნებს. ილია ზედგინიძეს წლევანდელი ერთა თასი ტრავმის გამო პრაქტიკულად გაუცდა. იგი ახლაც მტკივან მუხლს მკურნალობს და თავის კლუბ „ოშს" ვერაფრით ეხმარება. სხვათა შორის, „ოშის" მწვრთნელი 60 წლის ანრი ბრონკანია, რომელიც ჩვენი ნაკრების კონსულტანტად ოფიციალურად ცოტა ხნის წინ დაინიშნა.ილია ზედგინიძეს საფრანგეთში დავუკავშირდით და სარუბრიკო ამბებამდე ტრავმაზე ვკითხეთ...

# ფილოსოფიური ამბავი

## ილია ზედგინიძე: ახალ საქართველოს ანრი ბრონკანის თვალი მოუხდება

— ტრავმა საკმაოდ სერიოზული იყო, ახლა ნელ-ნელა მირჩება. ჯერჯერობით ძუნძულიც არ შემიძლია. ვარჯიშს მაისის ბოლოსკენ დავიწყებ.

— გამოდის, ივნისში პორტუგალიასთან სტუმრად ითამაშებ.

— ამის დიდი იმედი მაქვს. თანაც მაგ დროისთვის რუმინეთში საერთაშორისო ტურნირია, იქამდე კი სანაკრებო შეკრებაა და ძალიან მინდა, გუნდთან ერთად ვიყო.

— შენი აზრით, ესპანეთთან სენსაციურმა მარცხმა საქართველოს ნაკრებს ორი წლის ჯამში ერთა თასის მოგების შანსი შეუმცირა?

— ასე არ ვფიქრობ. ყველა ვარიანტში დარჩენილი მატჩები აუცილებლად უნდა მოგვეგო, მათ შორის, საგაისო მატჩი თბილისში რუმინეთთან. ასე რომ, ესპანეთთან წაგებას საქმე დიდად არ გაუფუჭებია.

— ერთა თასზე მონაწილე გუნდებიდან საქართველო, პორტუგალია და რუმინეთი წლევანდელ მსოფლიოს თასზე ითამაშებენ. თვლი, რომ ტურნირის დონე საგრძნობლად ამაღლდა?

— რა თქმა უნდა და ეს ჩვენთვის ძალიან კარგია. საქართველოს ნაკრები არ არის განებივრებული ძლიერ მეტოქეებთან ტესტმატჩებით. ამიტომ, როდესაც ერთა თასის დონე იწევს და კონკურენციაც იზრდება, ტოლ-სწორ მეტოქეებთან თამაში მსოფლიოს თასისთვის ძალიან წაგვადგება. აქამდე ერთა თასზე მხოლოდ რუმინეთი და ჩვენ ვიყავით ფავორიტები, ახლა პორტუგალია წამოიქაჩა. მალე კლოდ სორელიც დაატყობს ხელს რუსეთის ნაკრებს და ტურნირის დონე კიდევ უფრო აიწევს.

— წინა მსოფლიოს თასზე მინიმუმიც და მაქსიმუმიც ურუგვაის დამარცხება იყო, რაც ვერ შეძელით. ახლა ასეთი მეტოქე ნამიბია იქნება. ფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს საამისო გამოცდილება და ძალა, აფრიკელებს მოუგოს?

— ეს ძალიან ძნელი იქნება. ნამიბია სამხრეთ აფრიკას ესაზღვრება და იქ სარაგბო კულტურა კარგად არის განვითარებული. მეტიც, მგონი, იქ რაგბი ნომერ პირველი თამაშია. ასე რომ, ვერ ვიტყვი, ნამიბიას ამას დი იმას ვუზამთ-მეთქი, მაგრამ ჩვენც უკვე გვაქვს საკმაო გამოცდილება და კლასი, რომ თავი ფავორიტებად ჩავთვალოთ. თანაც მაისიდან ნაკრებს სამი-ოთხი გრძელვადიანი შეკრება ექნება, რაც აქამდე ყოველთვის გვაკლდა. დიდი ხნით ერთად ყოფნა და ვარჯიში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— შემადგენლობით და თამაშის ხარისხით 2003 წლის საქართველოს ნაკრები უკეთესი იყო თუ ახლანდელი?

— იმ მორაგბეთა უმრავლესობა, რომელბმაც 2003 წლის მსოფლიო თასზე ითამაშეს, ახლაც ნაკრებშია და გუნდის ხერხემალს წარმოადგენს, ხოლო ვინც გამოგვაკლდა, მათი შემცვლელებიც გვყავს. სხვათა შორის, ძალიან კარგი თაობა წამოვიდა და არჩევანის საშუალება გაჩნდა. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ დღევანდელი ნაკრები უკეთესია.

— საქართველოს ნაკრების კონსულტანტად ანრი ბრონკანი დაინიშნა, რომელიც „ოშში" შენი მწვრთნელია. რა შეიძლება შემატოს ბრონკანმა ჩვენს ნაკრებს?

— ბრონკანი ძალიან გამოცდილი და ჭკვიანი მწვრთნელია. ყველაფერთან ერთად, იგი ძალიან კარგი პიროვნებაა. საფრანგეთში ბრონკანს „ჯადოქარ" მწვრთნელად იცნობენ. „ოში" ფინანსებით ბევრად ჩამოუვარდება სხვა გუნდებს, მაგრამ ბრონკანის ხელში ქვედა დივიზიონის გამარჯვებული გახდა და გაისად ელიტ 2-ში ითამაშებს. საწყენია, რომ მომავალ სეზონში ბრონკანი ელიტარულ „აჟენში" გადადის. მისი ფილოსოფია ძალიან წაადგება ჩვენს ნაკრებს.

— და რა არის ბრონკანის ფილოსოფია?

— ბრონკანი ვერ იტანს წაგებას. ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, მოგების გარდა არაფრის გაგონება არ სურს. რაღაც განსაკუთრებული თვალი აქვს, ერთი ტაიმით ხვდება, სად არის მეტოქის ყველაზე სუსტი წერტილი.

**ბაჩო სვანიძე**



### საქართველოს ჩემპიონატი

# დინამომ საპლეიოფო გამოცდა ჩააბარა

19 აპრილი

ვერის ბაღი

**დინამო 86:83 თსუ**

*23:21 14:27 23:16 26:19*

დინამო: გულისაბედაშვილი (11), სიგუა (10), ფაიქრიძე (3), მურჯიკნელი (10), კოლუაშვილი (13); ნვიმრაძე (15), ნ. ნოზაძე (10), ბადრიძე (8), ლაფანაშვილი (6)

თსუ: ვეფხვაძე (11), ბ. ბერიშვილი (17), ხეცურიანი (7), მ. ბერიშვილი (3), შანიძე (21); მათიაშვილი (11), ლეჟავა (6), ტყეშელაშვილი (4), მარხვაშვილი (2), ფანჩულიძე (1), არწივიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**აზოტი 96:66 მაკაბი**

*27:20 23:13 21:15 25:18*

აზოტი: მალეშევიჩი (2), ბოისა (6), ბეჟანიშვილი (13), მარკოიშვილი (9), უგრეხელიძე (8); დიდია (15), ჭოჭუა (15), ლიპარტელიანი (9), ცეკვავა (6), ტუჯანი (6), მინაშვილი (7), ლიპარტელიანი (9)

მაკაბი: დოლიძე (6), კორკოტაძე (6), პირველაშვილი (7), ვაშაკიძე (15), ს. შერმადინი (25); ჯგერენაია (7), გამცემლიძე, ხორავა

მსაჯები: დავით არეშიძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ავიამშენი 85:73 სტუ**

*28:17 21:15 18:18 23:18*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (14), ი. ბერიშვილი (7), ხოშტარია (5), ბაბიაშვილი (25), როდუმტა (11); ნიკოლაძე (15), კვიმაძე (4), სუხიშვილი (2), ნინიაშვილი (2)

სტუ: კოხრეიძე (18), ძიძიგური, ბარბაქაძე (7), მაისურაძე (9), ახალკაცი (19); ბერაია (9), ლ. ნოზაძე (9), სეფისკვერაძე (2), დევიძე, ეძგვერაძე

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ესეც** სეირი — თბილისის „დინამომ" გმირულად იბრძოლა, თსუ დაამარცხა და პლეი ოფის მეოთხე ვაკანტურ საგზურსაც ფაქტობრივად დაეპატრონა. დარჩენილია ორი ტური და ზაზა ცაგარეიშვილის გუნდი ერთი ქულით უსწრებს კონკურენტ სტუ-ს, რაც ამ გადმოსახედიდან საკმარისი ჰანდიკაპია ოთხეულში ადგილის დასაბევებლად.

„დინამო" სტუ-ს ხვალ ხვდება (დღეს დასვენებაა) და რომც წააგოს, ბოლო ტურში უშერმადინო, ანუ განწირულ „მაკაბის" ხვდება და ეჭვი არაა, მოუგებს. სტუ-ს კი ბოლო მეტოქედ ბობოქარი „აზოტი" ჰყავს და პატიოსან თამაშში წარმატების არანაირი შანსი არ აქვს.

ასეა თუ ისე, „დინამომ" გასაკეთებელი გააკეთა და გუშინ მისთვის ამ სეზონის ყველაზე პრინციპული თამაში მოიგო. წინა დღეს სტუსთან წაგებული მატჩისგან განსხვავებით თსუ-ს თითქმის საბრძოლო შემადგენლობა ჰყავდა. არ იყო მხოლოდ დავით იმნაძე, თუმც სტუდენტებს მის გარეშეც იოლად უნდა ემარჯვავათ, მაგრამ...

წინდახედული კაცია თსუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი და ნამატჩევს ალალად თქვა: „დინამოს" ამ სეზონში რამდენჯერაც ვეთამაშეთ, ყოველთვის გაგვიჭირდა და ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ეს გუნდი პლეი ოფში არ გასულიყო. თსუ ნახევარფინალში „ავიამშენს" კი ხვდება, მაგრამ ჭეიშვილი უფრო წინ იხედება და ფიქრობს, ვაითუ წავაგო, მესამე ადგილისთვის „დინამოსთან" (ნახევარფინალში „აზოტს" შეხვდება და


მურმან [illegible] ფოტო

განწირულია) ბრძოლას, სტუ-სთან თამაში მირჩევნიაო. ჭეიშვილის გუნდმა ტექნიკოსებს ამ სეზონში ყველა მატჩი იოლად მოუგო, მხოლოდ გუშინწინ წააგო.

ჭეიშვილი ცამდე მართალია, როცა „დინამოს" უხერხულ მეტოქედ მიიჩნევს. გუშინ თსუ ბევრს ეცადა, მთელ თავის ძალებსა და გამოცდილებას მოუხმო, მაგრამ წაგებას მაინც ვერ ასცდა. „დინამო" ნიადაგ კუდში მიჰყვებოდა სტუდენტებს და დიდი სხვაობით ერთხელ ჩამორჩა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე — 33:48. თუმც ლექსო ლაფანაშვილისა და გიორგი სიგუას ქულების წყალობით დინამოელებმა დიდი შესვენებისთვის სხვაობა 11-მდე შეამცირეს და მეორე ტაიმიდან საქმეს უფრო ჭკვიანურად მოჰკიდეს ხელი

დავით გვიმრაძემ და ვიქტორ კოლუაშვილმა ფარზე რიჩარდ მათიაშვილის ბატონობა ალაგმეს და „დინამოს" უკანახაზელებსაც ხელ-ფეხი გაეხსნათ ნელ-ნელა სხვაობა მცირდებოდა და სირენამდე 7 წუთით ადრე მოსახდენი მოხდა — ნიკო ნოზაძემ შორი სროლით 67:67 დააფიქსირა

ბოლო წუთებში „დინამომ" დაცვა გაამაგრა და თსუ საჯარიმოში არ შეუშვა. შორი სროლები სტუდენტებს არ წაუვიდათ და კონტრშეტევებზე ცაგარეიშვილის ბიჭებმა არაერთი უპასუხო ქულა მიითვალეს. გადამწყვეტ წუთებში ყველა დინამოელმა იჩაუქა, თუმც გამოსარჩევი მაინც ვიქტორ კოლუაშვილი, ლაფანაშვილი და ნოზაძე იყვნენ. ამ ბიჭებმა არაერთი ბურთი ჩაჭრეს, მოხდენილი პასებიც გაილეს და კრიტიკული მომენტებში ქულებიც მიითვალეს. დავით გვიმრაძემ კი ის საკვანძო საჯარიმო ჩააგდო, რომელმაც სტუდენტები საბოლოოდ გატეხა წელში.

**ირაკლი კერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 23 | 22 | 1 | +568 | 45 |
| ავიამშენი | 23 | 17 | 6 | +269 | 40 |
| თსუ | 23 | 14 | 9 | +232 | 37 |
| დინამო | 23 | 7 | 16 | -255 | 30 |
| სტუ | 23 | 6 | 17 | -362 | 29 |
| მაკაბი | 23 | 3 | 20 | -486 | 26 |

21 აპრილი, შაბათი

12.00 სტუ — დინამო

14.00 თსუ — მაკაბი

16.00 ავიამშენი — აზოტი

22 აპრილი, კვირა

12.00 აზოტი — სტუ

14.00 დინამო — მაკაბი

16.00 ავიამშენი — თსუ

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ყინული დაიძრა, ბატონებო!

## სხდომას დონ ნელსონი უძღვება



„13-წლიანი მოლოდინი ამაღამ მთავრდება!“ — რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს დასკვნით თამაშში „გოლდენ სტეიტს“ პორტლენდშიც კი ჩაჰყვნენ ფანები. ამათ წლების განმავლობაში სტუმრად კი არა, შინაურ მატჩებზე მისვლა ეზარებოდათ, იმდენად უხეირო და უსუსური იყო მათი გუნდი, მაგრამ, როგორც თავშინახსენები, ტრანსპარანტზე ნაწერი საზეიმო ფრაზა გვაუწყებს, „გოლდენ სტეიტმა“ ყინული დაძრა და 1994 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

„დაგვიბრუნდით, ფანებო! ჩვენ პლეი ოფში ვართ! მზად ვარ, იქაც ყველაფერი გავიღოთ და ერთი მაგრად წავითამაშოთ“ — ყვირილით ეუბნებოდა კომენტარისთვის მისულ ჟურნალისტს „უორიორზის“ ლიდერი ბაირონ დევისი. მანამდე კი მან და მისმა თანაგუნდელებმა შუაში ჩაიყენეს ამ დიდი ზეიმის მთავარი რეჟისორი დონ ნელსონი და ეს 67 წლის ათას სენ და ოპერაციაგადატანილი კაციც ბიჭივით აცინ-ამღერ-აცეკვ-ახტუნავეს.

„ბოლო დღეს! წარმოგიდგენიათ? ბოლო დღეს მოვხვდით პლეი ოფში“ — გაიძახოდა ნელსონი. ეს კაცი ოკლენდში კარგა ორმეტრიან ძეგლს იმსახურებს. 1994 წელს სწორედ ის თავკაცობდა „უორორზს“ და შემდეგ „დალასში“ რომ გადავიდა, მას აქეთ დაიძირა ეს გუნდი. „დალასი“ კი აყვავდა და 2004 წელს ნელსონმა ჯანმრთელობის შერყევის შემდეგ რომ დატოვა, მას შემდეგ კიდევ უფრო მოღონიერდა. ახლა კი რა გამოვიდა: ეს დამშეული „გოლდენ სტეიტი“, ბოლო დროს მეტოქეებს 20-30 ქულით რომ აცამტვერებდა, სწორედ „დალასს“ ხვდება პლეი ოფის პირველ წრეში და ბედის ირონიით, მისთვის ამ რეგულარულში სამივე თამაში მოგებული აქვს ჯამში 49 ქულის სხვაობით.

თავად „დალასმა“ კი უკანასკნელ მატჩში „სიეტლი“ მოღრიკა და რეგულარული ჩემპიონატი 67 მოგებით დაასრულა, რაც ნბა-ს ისტორიაში მე-6 შედეგია.

მისგან განსხვავებით, კიდევ ერთმა საჩემპიონო გუნდმა, „სან ანტონიომ“, „დენვერთან“ შინაურ თამაშში ყველა წამყვანი მოთამაშე დაასვენა და სათადარიგოებით 23 ქულით წააგო. სათქმელია, რომ ეს გუნდებიც პირველ წრეში გააგრძელებენ ბრძოლას და იქ უკვე სრული დატვირთვით ამუშავდება სამგზის ჩემპიონი „სან ანტონიო“.

კიდევ ერთმა საპირველწრეო წყვილმა ითამაშა სოლტ ლეიკ სიტიში. მასპინძელმა „იუტამაც“ და სტუმარმა „ჰიუსტონმაც“ დაზოგეს ლიდერები, ასე რომ, „იუტას“ გამარჯვება ამ წყვილში მას ფავორიტად ვერ ალაზევებს.

რეგულარულის უკანასკნელ დღეს ძვრები მოხდა აღმოსავლეთის საპლეიოფო რვეულში. ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდმა“ მოიგო, „ჩიკაგომ“ კი ვერა და შედეგად „კლივლენდს“ კონფერენციაში მეორე განთესვის ნომერი ერგო. ამ გამარჯვების წყალობით ლებრონის გუნდმა პლეი ოფში პირველ მეტოქედ ჯილბერტ არენასის, კერონ ბატლერის და უშანსოდ დარჩენილი „ვაშინგტონი“ შეიხვედრა და ვერც მეორე მეტოქე („ტორონტო“ ან „ნიუ ჯერსი“) შეაშინებს დიდად. ლებრონის გუნდი აღმოსავლური ბადის თავის ნახევარში (ანუ ფინალამდე) არც „დეტროიტს“ შეხვდება და არც „მაიამის“. „ჩიკაგო“ კი პირდაპირ ლომის ხახაში აღმოჩნდა.

**კოტე ყორშია**

### 18 აპრილი

**პორტლენდი 98:120 გოლდენ სტეიტი**
პორტლენდი: აუთლოო (36 ქულა, 10 მოხსნა), ვებსტერი (14)
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (31), რიჩარდსონი (25), ჰარინგტონი (24), დევისი (12 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა)

**კლივლენდი 109:96 მილუოკი**
კლივლენდი: ჯეიმსი (24), პავლოვისი (21), მარშალი (14), ჰიუზი (13)
მილუოკი: ბოიკინსი (28), პატერსონი (19)

**ნიუ ჯერსი 106:97 ჩიკაგო**
ნიუ ჯერსი: კარტერი (24 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), მური (22), ჯეფერსონი (21),ბონი (15), ნახბარი (15), კიდი (5 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (20), ნოჩიონი (19), დენგი (15 ქულა, 11 მოხსნა), გორდონი (15)

**ორლანდო 94:68 მაიამი**
ორლანდო: ჰილი (17), თურქოღლუ (15)
მაიამი: რაიტი (17)

**ტორონტო 119:122 ფილადელფია**
ტორონტო: ჯექსონი (30), ბოში (23), ბარნანი (17)
ფილადელფია: გრინი (37), მილერი (29 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), სმიტი (26 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი 93:94 ნიუ იორკი**
შარლოტი: ერმანი (22), ფელტონი (19)
ნიუ იორკი: კარი (28), ფრენსისი (24)

**ბოსტონი 89:91 დეტროიტი**
ბოსტონი: რონდო(19), გომესი (19), ჯეფერსონი (17 ქულა, 15 მოხსნა)
დეტროიტი: ჯონსონი (20 ქულა, 12 მოხსნა), მიურეი (16)

**ინდიანა 95:98 ვაშინგტონი**
ინდიანა: დანლივი (17), გრეინჯერი (14)
ვაშინგტონი: ჯემისონი (19 ქულა, 11 მოხსნა), სტივენსონი (15)

**მინესოტა 94:116 მემფისი**
მინესოტა: ფოი (26), დევისი (23)
მემფისი: გასოლი (25 ქულა, 16 მოხსნა), კინსი (22), უორიკი (18)

**სან ანტონიო 77:100 დენვერი**
სან ანტონიო: უდრიჰი (13)
დენვერი: ევანსი (19 ქულა, 20 მოხსნა), კლიეზა (17), სმიტი (17)

**იუტა 101:91 ჰიუსტონი**
იუტა: მილსაპი (14), გრიჩერი (14), ბრაუნი (13)
ჰიუსტონი: ჰოვარდი (20), ჰედი (18)

**სიეტლი 75:106 დალასი**
სიეტლი: ლუისი (14)
დალასი: ნოვიცკი (20), ჰოვარდი (15)

**საკრამენტო 106:117 ლეიკერსი**
საკრამენტო: ბიბი (17), არტესტი (16)
ლეიკერსი: ბრაიანტი (34), ბრაუნი (17), ოდომი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**კლიპერსი 83:86 ნიუ ორლეანი**
კლიპერსი: მაგეტი (21 ქულა, 11 მოხსნა), ტომასი (16), კასელი (14)
ნიუ ორლეანი: ვესტი (32), ბრაუნი (12)

## ლიგის ლიდერები

### ქულები

| | |
|---|---|
| 1 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 31,6 |
| 2 კარმელო ენტონი (დენვერი) | 28,9 |
| 3 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 28,4 |
| 4 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 27,4 |
| 5 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 27,3 |
| 6 მაიკლ რედი (მილუოკი) | 26,7 |
| 7 რეი ალენი (სიეტლი) | 26,4 |
| 8 ალენ აივერსონი (დენვერი) | 26,3 |
| 9 ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 25,2 |
| 10 იაო მინი (ჰიუსტონი) | 25,0 |
| 11 ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 25,0 |
| 12 პოლ პირსი (ბოსტონი) | 25,0 |
| 13 ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 24,6 |
| 14 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 24,6 |
| 15 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 23,6 |
| 16 კრის ბოში (ტორონტო) | 22,6 |
| 17 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 22,4 |
| 18 რაშარდ ლუისი (სიეტლი) | 22,4 |
| 19 ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 21,4 |
| 20 კარლოს ბუზერი (იუტა) | 20,9 |
| 21 პაუ გასოლი (მემფისი) | 20,8 |
| 22 ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | 20,5 |
| 23 ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 20,4 |
| 24 კევინ მარტინი (საკრამენტო) | 20,2 |
| 25 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 20,1 |
| 26 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 20,0 |
| 27 ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 19,8 |
| 28 რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | 19,8 |
| 29 ედი კარი (ნიუ იორკი) | 19,5 |
| 30 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 19,4 |
| 106 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 12,2 |

### მოხსნები

| | |
|---|---|
| 1 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 12,8 |
| 2 ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 12,4 |
| 3 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 12,3 |
| 4 კარლოს ბუზერი (იუტა) | 11,7 |
| 5 მარკუს კემბი (დენვერი) | 11,7 |
| 6 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 11,3 |
| 7 ალ ჯეფერსონი (ბოსტონი) | 11,0 |
| 8 კრის ბოში (ტორონტო) | 10,7 |
| 9 ბენ ვოლესი (ჩიკაგო) | 10,7 |
| 10 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 10,6 |
| 47 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 6,9 |

### პასები

| | |
|---|---|
| 1 სტივ ნეში (ფინიქსი) | 11,6 |
| 2 დერონ უილიამსი (იუტა) | 9,3 |
| 3 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 9,2 |
| 4 კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 8,9 |
| 5 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 8,1 |

### ჩაჭრები

| | |
|---|---|
| 1 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 2,1 |
| 2 რონ არტესტი (საკრამენტო) | 2,1 |
| 3 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2,1 |

### დაფარებები

| | |
|---|---|
| 1 მარკუს კემბი (დენვერი) | 3,3 |
| 2 ჯოშ სმიტი (ატლანტა) | 2,9 |
| 3 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 2,6 |

### სროლები %

| | |
|---|---|
| 1 ერიკ დამპიე (დალასი) | 62,6 |
| 2 ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 62,4 |
| 3 მიკი მური (ნიუ ჯერსი) | 60,9 |

### სამქულიანები %

| | |
|---|---|
| 1 ჯეისონ კაპონო (მაიამი) | 51,4 |
| 2 უოლტერ ერმანი (შარლოტი) | 46,1 |
| 3 სტივ ნეში (ფინიქსი) | 45,5 |

### საჯარიმოები %

| | |
|---|---|
| 1 კაილი კორვერი (ფილადელფია) | 91,4 |
| 2 მეტ კეროლი (შარლოტი) | 90,4 |
| 3 დიკ ნოვიცკი (დალასი) | 90,4 |

### წუთები

| | |
|---|---|
| 1 ალენ აივერსონი (დენვერი) | 42,5 |
| 2 ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 41,4 |
| 3 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 40,9 |

### დაკარგვები

| | |
|---|---|
| 1 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 4,2 |
| 2 ალენ აივერსონი (დენვერი) | 4,1 |
| 3 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 3,9 |

### ფოლები

| | |
|---|---|
| 1 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 3,7 |
| 2 ანდრის ბიედრინსი (გოლდენ სტეიტი) | 3,7 |
| 3 ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 3,6 |

## საბოლოო მდგომარეობა

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | 53 | 39 | 64,6 |
| კლივლენდი | 50 | 32 | 61,0 |
| *ტორონტო* | 47 | 35 | 57,3 |
| *მაიამი* | 44 | 38 | 53,7 |
| ჩიკაგო | 49 | 33 | 59,8 |
| ნიუ ჯერსი | 41 | 41 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 41 | 41 | 50,0 |
| ორლანდო | 40 | 42 | 48,8 |
| ინდიანა | 35 | 47 | 42,7 |
| ფილადელფია | 35 | 47 | 42,7 |
| შარლოტი | 33 | 49 | 40,2 |
| ნიუ იორკი | 33 | 49 | 40,2 |
| ატლანტა | 30 | 52 | 36,6 |
| მილუოკი | 28 | 54 | 34,1 |
| ბოსტონი | 24 | 58 | 29,3 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *დალასი* | 67 | 15 | 81,7 |
| *ფინიქსი* | 61 | 21 | 74,4 |
| სან ანტონიო | 58 | 24 | 70,7 |
| *იუტა* | 51 | 31 | 62,2 |
| ჰიუსტონი | 52 | 30 | 63,4 |
| დენვერი | 45 | 37 | 54,9 |
| ლეიკერსი | 42 | 40 | 51,2 |
| გოლდენ სტეიტი | 42 | 40 | 51,2 |
| კლიპერსი | 40 | 42 | 48,8 |
| ნიუ ორლეანი | 39 | 43 | 47,6 |
| საკრამენტო | 33 | 49 | 40,2 |
| პორტლენდი | 32 | 50 | 39,0 |
| მინესოტა | 32 | 50 | 39,0 |
| სიეტლი | 31 | 51 | 37,8 |
| მემფისი | 22 | 60 | 26,8 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნული არიან დივიზიონების გამარჯვებულები*

## პლეი ოფი. პირველი წრე

**აღმოსავლეთი**

დეტროიტი (1) – ორლანდო (8)
კლივლენდი (2) – ვაშინგტონი (7)
ტორონტო (3) – ნიუ ჯერსი (6)
მაიამი (4) – ჩიკაგო (5)

**დასავლეთი**

დალასი (1) – გოლდენ სტეიტი (8)
ფინიქსი (2) – ლეიკერსი (7)
სან ანტონიო (3) – დენვერი (6)
იუტა (4) – ჰიუსტონი (5)

კრივი

# ვერის ბაღში ჩხუბებია, თქვენი მოწონებული

**ორკვირიანი** შესვენების შემდეგ პროფესიული კრივის ასოციაციამ მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართა. გუშინ ვერის ბაღის კრივის დარბაზმა ოთხ დაპირისპირებას უმასპინძლა. ამჯერად საქართველოს საჩემპიონო ქამარი არ გათამაშებულა. წესით, 66 კგ წონით კატეგორიის მოკრივეებს უნდა ეჩხუბათ ქამრისთვის, მაგრამ მათივე თხოვნით ეს ბრძოლა მომავალ კვირას შედგება.

თავიდან რინგზე 62 კგ-ის სპორტსმენები ავიდნენ.

დავით ინასარიძემ (რუსთავი) და ბაჩო კვარაცხელიამ (გორი) აგრესიულად დაიწყეს და არც მერე დაუკლიათ რამე ერთმანეთისთვის. კვარაცხელია ფიზიკურად აშკარად ძლიერი ჩანდა და ბევრი გულშემატკივარი ფავორიტადაც მიიჩნევდა, თუმცა ტყუილად — ინასარიძემ დიდი წვალების შემდეგ მაინც მოახერხა მეტოქის ჯობნა, ძირითადად ტექნიკისა და მეტი მოძრაობის ხარჯზე.

შემდეგ გორელმა თიმურაზ საბაშვილმა და კახა ავეტისიანმა (ბორჯომი) იჩხუბეს. ორივე კარგად იყო ფიზიკურად მომზადებული, რაც ბრძოლაზეც აისახა. სანახაობრივი თვალსაზრისით ამ დაპირისპირებას ვერაფერს დავუწუნებდით. მთელი ოთხი რაუნდი მაღალ ტემპში, აგრესიულად წარიმართა. მცირე უპირატესობა კუროორტელს ჰქონდა და მოიგო კიდეც პატარა სხვაობით.

62 კგ-ში თბილისელებმა — ბექა საჯაიამ და გიორგი კურტანიძემ უშელავათო ექვსი რაუნდი გამართეს. თავიდანვე ჩანდა, რომ მეტოქეები თანაბარი ძალის იყვნენ. მთელი ჩხუბის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა, რომ რომელიმე მცირედით მაინც დაწინაურებულიყო. თუმცა ბოლოს მსაჯებმა გამარჯვება ბექა საჯაიას არგუნეს.

72 კგ-შიც ანალოგიური სიტუაცია განმეორდა. პაატა ვარდუაშვილმა (ვარიანი) და გიორგი ზალიკალიანმა (თბილისი) თანაბრად იჩხუბეს. დაძაბულობის მხრივ კი მართლაც გამორჩეული შეხვედრა იყო. საბოლოოდ უფრო გამოცდილმა ვარიანელმა იმარჯვა მცირე უპირატესობით.

**ლევან მაისურაძე**

ჩოგბურთი

## ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი ფინიკსი. მავრიკეთი. 17-20 აპრილი

# დავტოვოთ აფრიკა სამხრეთში!

**ჯგუფური ეტაპი**

**B ჯგუფი**

საქართველო 2:0 ბოსნია

1:0 ოქსანა კალაშნიკოვა — დიანა სტოჟიჩი 6:2 6:3

2:0 მაკა ჩახნაშვილი — სანდრა მარტინოვიჩი 6:4 7:6

პორტუგალია 2:0 ნორვეგია

1:0 მაგალი დე ლატრე — ჰელენ ანდერსენი 6:1 6:1

2:0 ნეუზა სილვა — კაროლინ სტეირო 6:2 6:1

**A ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა 3:0 საბერძნეთი

1:0 ანა კოუმანტუ — ესი ლაინი 6:4 7:5

2:0 ანა გერასიმუ — პია სუომალაინენი 6:3 7:5

ფინეთი 1:2 სამხრეთ აფრიკა

1:0 ლიზაან დუ პლესისი — ანა კოუმანტუ 6:4 6:1

2:0 სურინა დე ბეერი — ანა გერასიმუ 4:6 6:1 6:2

3:0 კელი ანდერსენი, დუ პლესისი — გერასიმუ, ასმინა კაპლანი 6:4 6:3

| A ჯგუფი | | | |
|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 5:1 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 2:3 |
| ფინეთი | 0 | 2 | 1:4 |

| B ჯგუფი | | | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 0 | 7:0 |
| საქართველო | 2 | 1 | 4:3 |
| ბოსნია | 1 | 2 | 3:4 |
| ნორვეგია | 0 | 3 | 0:7 |

**ნახევარფინალი. დღეს**

ს. აფრიკა — საქართველო | პორტუგალია — საბერძნეთი

ნორჩმა ოქსანა კალაშნიკოვამ რეიტინგში მასზე წინ, 793-ე ადგილზე მყოფი დიანა სტოჟიჩი დაჯაბნა, ხოლო მაკა ჩახნაშვილმა 27 წლისა და კლასიფიკაციაში 302-ე პოზიციაზე მყოფ სანდრა მარტინოვიჩს მოუგო და შედეგად, საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასის ევროაფრიკული ზონის II ჯგუფის ნახევარფინალში გავიდა, სადაც სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შეხვდება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ნორვეგია და საბერძნეთი დაუპირისპირდებიან.

ლალი ზერეკიძის შეგირდებმა ბოსნიელებს იოლად სძლიეს და იმის გათვალისწინებით, რომ აფრიკელები არაფრით ალემატებიან ბოსნიელებს, არის იმის რეალური შანსი, ჩვენებმა ერთი საფეხურით მაღლა, ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აინაცვლონ. საამისოდ აფრიკელებთან მოგება კმარა — ფინალი არ იქნება — ზედა დივიზიონში ორი გუნდი ადის.

სამხრეთაფრიკელები ფედერაციის თასზე 1963 წლიდან თამაშობენ და ამ ხნის მანძილზე 62 მატჩი მოიგეს და 38 წააგეს. აფრიკელთა კაპიტნის როვენა სანდერსის გუნდში ყველაზე მაღალრეიტინგიანი, კლასიფიკაციის 182-ე ნომერი ნატალი გრანდინია, მაგრამ მას მავრიკეთში აქამდე არ უთამაშია. გუნდის ლიდერობას 29 წლისა და რეიტინგში 718 ადგილზე მყოფი სურინა დე ბეერი სწევს, ხოლო მეორე ნომერი, 21 წლის ლიზაან დუ პლესისი საერთოდ არ არის WTA-ს რეიტინგში.

## მონტე კარლოს მასტერსი. კაცები თიხნარი. საპრიზო 2 200 000 $

**მეორე წრე**

**ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) 7:6 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 7:5 4:1 (უარი); **რიშარ გასკე** (11, საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (16, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2 6:0

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ჰუნგ ტაიკლი (სამხრეთ კორეა) 6:4 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — ტომი რობრედო (5, ესპანეთი) 1:6 6:3 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — მაქსიმ მირნი (ბელარუსი) 7:6 6:2; **დავიდ ფერერი** (12, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (6, სერბეთი) 7:5 6:4; **გასკე** — ლიუბიჩიჩი 6:3 6:7 7:5; **ფერერო** — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:3 6:3; **კოლშრაიბერი** — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 5:7 7:6 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:1 6:1

## ალამ ანას: არა

ანა ტატიშვილმა ძირითადი ტურნირის პირველ წრეში დაასრულა თამაში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დოთენში მიმდინარე 75-ათასიან ტურნირზე.

ალაბამურ თიხაზე ანამ წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპი, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე შეხვედრა სამ სეტში — 6:3 3:6 3:6 წააგო რუს ალა კუდრიავცევასთან, ვისაც რეიტინგში 118-ე ადგილი უჭირავს.

სამთო თხილამურები



AFP

# იანიცამ ხელი დაგვიქნია

**2006-07 წლების** ზამთრის სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა, გამოვჯანმრთელდები და დავბრუნდებიო და გუშინ კი საქვეყნოდ განაცხადა, რომ ამთავრებს თავის ბრწყინვალე სპორტულ კარიერას.

არადა, იანიცა კოსტელიჩი მხოლოდ 25 წლისაა და ცხრაწლიან პროფესიონალურ კარიერაში განუმეორებელმა ხორვატმა ოთხი ოლიმპიური ოქრო, მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთი ოქროს მედალი, მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო სამი დიდი ბროლის გლობუსი და ცალკეულ სახეობებში საუკეთესოსთვის განკუთვნილი უამრავი მცირე ბროლი მოიპოვა.

ახლა ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა. მრავალრიცხოვანმა ტრავმებმა თავისი ქნა. იანიცამ ხელი დაგვიქნია.

ჰოკეი

## პლეი ოფი. პირველი წრე

# აღმოსავლეთი

### ბუფალო 3:1 აილენდერსი

**მეოთხე მატჩი**

**აილენდერსი 2:4 ბუფალო**

*2:2 0:1 0:1*

1:0 ბლეიკი (7, პოტი, ბერჟერონი), 1:1 ვანეკი (12, ნუმინენი, როი), 1:2 დრური (14, ზუბრუსი, სტეფორდი), 2:2 სილინჯერი (20, უმრ. კოზლოვი, სმიტი), 2:3 დრური (21, უმრ. კემპბელი, ბრიარი), 2:4 პომინვილი (59, უასისტენტოდ)

### ნიუ ჯერსი 2:2 ტამპა

**მეოთხე მატჩი**

**ტამპა 3:4 ნიუ ჯერსი**

*1:2 2:1 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 ჯიონტა (7, ოდუია, რაფალსკი), 1:1 პერინი (13, უასისტენტოდ), 1:2 პარიზე (15, მარტინი, ზეიდტაკი), 1:3 პარიზე (30, უმრ. გრინი, ზეიდტაკი), 2:3 სენ ლუი (32, კუბა, რიჩარდსი), 3:3 ლეკავალიე (36, პროსპალი, სენ ლუი), 3:4 გომესი (73, უასისტენტოდ)

### ატლანტა 0:4 რეინჯერსი

**მეოთხე მატჩი**

**რეინჯერსი 4:2 ატლანტა**

*1:1 1:1 2:0*

0:1 ტკაჩუკი (7, კოვალჩუკი, ჰევილიდი), 1:1 ნოზივალი (8, უმრ. სტრაკა, ნიულანდერი), 1:2 დევრიზი (33, დიუპუა, მარიან ჰოსა), 2:2 შენაჰენი (39, ეივერი), 3:2 კალენი (43, პოკი, კალაჰენი), 4:2 იაგრი (59, ცარ. კარში, უასისტენტოდ)

# დასავლეთი

### ნეშვილი 1:3 სან ხოსე

**მეოთხე მატჩი**

**სან ხოსე 3:2 ნეშვილი**

*:0 2:1 0:1*

1:0 მიხალეკი (4, ტორნტონი, ჩიჩუ), 2:0 პაველსკი (22, მაკლარენი, ჰენენი), 2:1 არნოტი (23, დიუმონი, ტუტუ), 3:1 მიხალეკი (33, ტორნტონი, ჩიჩუ), 3:2 პარტნელი (58, უმრ. ლეგვანდი, კარია)

ძალოსნობა

## ევროპის ჩემპიონატი სტრასბური, საფრანგეთი. 16-22 აპრილი

**ქალები**

**58 კგ**

1 მარინა შაინოვა (რუსეთი) ---------- 230 კგ (100+130)
2 ფეტი კასაი (ალბანეთი) ---------- 214 (91123)
3 რუტ კასირე (ნორვეგია) ---------- 210 (93+117)

**63 კგ**

1 მელიტე დალუჟიანი (სომხეთი) ---------- 243 (108+135)
2 სიბელ სიმსეკი (თურქეთი) ---------- 215 (98+117)
3 ანა ბატიუშკო (ბელარუსი) ---------- 215 (99+116)

**კაცები**

**62 კგ**

1 სერგეი პეტროსიანი (რუსეთი) ---------- 289 (130+159)
2 გენადი მახვეენია (ბელარუსი) ---------- 288 (134+154)
3 ამირ ბილგინი (თურქეთი) ---------- 286 (128+158)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge